№ 113
შაბათი, 9 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 113
შაბათი, 9 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეების შემწე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს წევრთ ამ საზოგადოებისას, რომ საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ამ თვის 10 ივლისისათვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო სკოლის სადგომში.

შენიშვნა: თანხმად ახლად შეცვლილის წესდების § 4 „წოდება ნამდვილის წევრისა ეკუთვნის ყველა შთამომავლობით თავად-აზნაურს ტფილისის გუბერნიისას, ვისაც კი ხმის უფლება აქვს, როგორც ყოველ დებულებაში, ისე არჩევნებშიცა, ვიდრე თავად-აზნაურობა სწირავს ფულს საზოგადოების სასარგებლოდ". (2—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

[illegible]

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

„ქართული" გიმნაზია

—

დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ერთი ამბავი ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის შესახებ, რომელსაც, გვინდა, მკითხველმა ყურადღება მიაქციოს და ერთხელ კიდევ ჩვენებურ „მოღვაწეობას" კბილი გაუსინჯოს.

ხსენებულ სკოლის გამგე კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ სათავად-აზნაურო სკოლას ეწოდოს სახელად „ტფილისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია", მოსამზადებელ განყოფილებებში საგნების სწავლება სწარმოებდეს ქართულ ენაზე, ხოლო გიმნაზიურ კლასებში ქართულს ენასავალდებულო სასწავლო საგანს შეადგენდეს. კავკასიის ნამესტნიკს ეს შუამდგომლობა გამგე კომიტეტისა შეუწყნარებია და ნათხოვნ საგნის სისრულეში მოყვანაზე ნება დაურთავს.

[illegible] ლომ ერთი ახალი „უფლება" შეიძინა, რომელსაც გამგე კომიტეტი, უეჭველია, დიდ მოპოვებად ჩასთვლის და საზოგადოებას თავის შეგნებულ საქმიანობის დამამტკიცებელ ფაქტად წარმოუდგენს... რა თქმა უნდა, წინანდელ წესთან შედარებით, ამ უფლების მოპოვება ერთი ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებს და სასარგებლოც არის. და ჩვენ, რასაკვირველია, აზრად ამ მოგვდის უარვყოთ მისი სარგებლობა და არ ვსცნათ, რომ ამ პატარა უფლების მოპოვებასაც თავისი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვინდა მხოლოდ ამ ამბავის იმ მხარეს შევეხოთ, რომელიც დამახასიათებელია საზოგადოდ ყველა ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ამიტომ ღირსია აღნიშვნისა და განმარტებისა. ეს არის—საქმის ჩვენებურად-ძველებურად კეთება, საზოგადო საკითხის საიდუმლოებით მოცვა და საზოგადოებრივ კრიტიკის მორიდება. თითოეული ქართველი, რომელიც რაიმე საზოგადო საქმეს უდგას სათავეში, თითქო დარწმუნებულია, რომ ყველაფერი, რასაც მისი გონება მოისაზრებს, მართალი და უცილობელი ჭეშმარიტებაა, და ამიტომ იგი არ სთვლის საჭიროდ, თავისი მოსაზრება საზოგადოებას გააგებინოს, სხვების აზრიც შეიტყოს და თავის გეგმაში სხვების შენიშვნებით გამოწვეული ცვლილება შეიტანოს. აბა, რა საჭიროა მწერლობის, პრესსის ან საზოგადოების დაკითხვა,—რას იტყვიან ისინი ისეთს, რაც ამა თუ იმ „მოღვაწემ" თავისთავად არ იცოდეს!..

სწორედ ასეთი თვისება ემჩნევა მუშაობაში სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტს, რომელმაც აღნიშნული შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე. ჩვენ არ ვაცით, როდის წარუდგინეს ეს შუამდგომლობა მთავრობას. სასკოლო საზოგადოებამ ამას წინად ამოირჩია კომისია და მას მიანდო შეცვლილ სკოლის პროგრამის შემუშავება. თუ საზოგადო კრების ამ გადაწყვეტილების შემდეგ აღძრა გამგე კომიტეტმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა, მას, ცხადია, ყოვლად შეუწყნარებელი საქმე მოუმოქმედნია, რადგან არავითარი პროგრამა, თანახმად საზოგადო კრების დავალებისა, კომისიას ჯერ არ შეუმუშავებია და, მაშასადამე, კომიტეტი თვითნებურად მოქცეულა, როცა თავისი გეგმა სხვის დაუკითხავად მთავრობისთვის წარუდგენია დასამტკიცებლად.

მაგრამ ასევე დასაგმობია მისი საქციელი იმ შემთხვევაშიაც, თუ მან აღნიშნული თხოვნა და შუამდგომლობა საზოგადო კრების გადაწყვეტილებამდის აღძრა, რადგან ფარულად დაწყება ისეთ საყურადღებო საქმისა, როგორიც არის სკოლაში სწავლების შეცვლა, არ ვარგა, ხოლო კომიტეტს კი მაშინაც არავისთვის გაუგებინებია თავის განზრახვა და საზოგადოების აზრი არ მოუსმენია.

და რომ საზოგადო საქმეების ასე „კეთება" არ ვარგა, ამას ნათლად ამტკიცებს სწორედ ის კომიტეტისაგან აღძრული შუამდგომლობა, რომელიც დღეს დაკმაყოფილებულია. კომიტეტს, იქნება, უხაროდეს, რომ მან მიიღო სათავად-აზნაურო სკოლის „ქართულ გიმნაზიად" წოდების უფლება, მაგრამ მკითხველი, თუ ყურადღებას მიაქცევს იმ ცვლილებას, რომელიც თან ახლავს ამ „უფლებას", დარწმუნდება, რომ სახელწოდება „ქართული" ამ შემთხვევაში სრულიად შეუფერებელია.

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ პირველდაწყებით სკოლებში საგნების სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს. სათავად-აზნაურო სკოლის მოსამზადებელი განყოფილებები სასწავლო საგნების შინაარსით თითქმის იგივე პირველდაწყებითი სკოლაა და ამიტომ გამგე კომიტეტს ამ მხრივ არავითარი ისეთი სასკოლო ცვლილება არ მოუპოვებია, რაც არ ჰქონდეთ სამოსწავლო ოლქის სკოლებს. გარდა ამისა, დაბეჯითებით ამბობენ, რომ ოლქის მზრუნველს გადაწყვეტილი ჰქონია, მომავალ სამოსწავლო წლიდან ადგილობრივ ენების სწავლება სავალდებულოდ გახადოს სახელმწიფო გიმნაზიებში და ამისათვის მასწავლებლებსაც ეძებენ. თუ ეს მართალია, გამოდის, რომ კომიტეტს ამ მხრივაც არავითარი ისეთი უფლება არ შეუძენია, რაც არ სრულდებოდეს გიმნაზიებშიაც.

და ასე, სათავად-აზნაურო სკოლამ, რომელიც კერძო სასწავლებელია და მასზე ხაზინიდან ერთი კაპეიკი არ იხარჯება, ქართულის ენის მხრივ იმ ცვლილების უფლება მოიპოვა, რაც ეძლევა საოლქო სკოლებსა და სახელმწიფო გიმნაზიებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ უკანასკნელთ „ქართული" არ ეწოდება სახელად...

და განა იმ სასწავლებელს უნდა დავარქვათ „ქართული", რომელშიაც ქართული ენა სხვათა შორის ისწავლება და მხოლოდ სასწავლო საგანს შეადგენს? ბავშმაც კი უნდა იცოდეს, რომ სკოლას მარტო მაშინ დაერქმევა „ქართული", როცა მასში სწავლება ქართულ ენაზეა მოწყობილი ისე, როგორც დღეს იქ რუსულად ასწავ- [illegible]

მაგრამ ამის მოთხოვნას, აბა, როგორ გაჰბედავდა გამგე კომიტეტი!.. არიან ჩვენში ისეთი „მოღვაწეები", რომელთაც წარმოდგენაც უძნელდებათ იმისი, თუ როგორ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ საშუალო სასწავლებელში საგნების სწავლება ქართულს ენაზე მოეწყოს. ეს, მათი აზრით, სახიფათო „გაბედულებაა", რომელსაც უნდა ვერიდოთ. ტყუილად მოაგონებთ, რომ ბალტიის მხრის გერმანელებს, მაგალითად, მისცეს ასეთი უფლება, რომ მათს კერძო გიმნაზიაში სწავლება სავსებით გერმანულ ენაზე იყოს და მათი სურვილი არავის არ მოსჩვენებია სახიფათო გაბედულობად.

მაგრამ რას იზამთ, როცა ჩვენში ბევრნი პრინციპიალურ საკითხების გადაწყვეტაში იმ აზრით ხელმძღვანელობენ, თუ „რას მოგვცემენ" და რაზე „უარს გვეტყვიან". იმას კი არ კითხულობენ, თუ რა არის ჩვენთვის საჭირო, არამედ საკითხს ყოველთვის ასე აყენებენ: რის მიღების იმედი არისო.

და ასეთ ოპორტიუნისტურ მოქმედებას ყოველთვის ისეთი შედეგი მოსდევს, რომელიც საზოგადოებას არაოდეს არ აკმაყოფილებს. ამ შემთხვევაშიაც ასეა: კომიტეტმა, რომელმაც უპირველეს ყოვლისა, მთავრობის „ხელ-გაშლილობით" იხელმძღვანელა და არა ქართულ ინტერესით, მოიპოვა ისეთი „უფლება", რომელიც ქართველ საზოგადოების სურვილსა და ხალხოსნურ ინტერესს სრულიად ვერ დააკმაყოფილებს...

პროვინციების ავტონომია ინგლისში

(ზ. ავალიშვილისა)

სახელმწიფო წესწყობილების ყველა ფორმები, სამხედრო დიქტატურიდან დაწყებული დამოკიდებელ სახელმწიფომდე, განხორციელებულია იმ ქვეყნებში, სადაც ევროპისა და ამერიკის განათლებაა დამყარებული.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის ქვეყნები, სადაც ანგლო-საქსთა ტომის ხალხები სცხოვრობენ. ამ ქვეყნებში შეგხვდებათ აურაებალი ფორმები სხვადასხვა პოლიტიკურ წესწყობილებისა, რომელსაც შეუძლიან განცვიფრებაში მოიყვანოს ყველა, ვინც კი მხოლოდ თავისს სამშობლო წესწყობილების პრინციპზეა აღზრდილი.

ინდოეთის იმპერიის მართვა-გამგეობაში საოცრად შეერთებულია განათლებული თვითმპყრობელობა, რჩევის უფლების მქონე დაწესებულებანი, პროტექტორატები და ავტონომიები, ჟურნალ-გაზეთებისა და ეროვნულ კონგრესების გავლენით განვითარებული სრულიად ინდოეთის თვითცნობიერება, სიმრავლე ტომთა, ენათა, სარწმუნოებათა და კასტებისა, სამაგალითო მოწყობა საკოლონიზაციო დიპლომატიისა, პოლიტიკისა, მხედრობის ძლიერებისა და ამავე დროს უმაღლესი კონტროლი, რომელსაც უწევს ბრიტანიის პარლამენტი მთელს ამ მართვა-გამგეობას.

ახალშენების ფორმებიც სხვადასხვანაირია. არის ისეთი ახალშენები, რომელნიც დამოკიდებულნი არიან პირდაპირ მეტროპოლიისაგან; არის ისეთებიც, რომელთაც აქვთ მარტო რჩევის ხასიათის მქონე დაწესებულებანი; არის კიდევ ისეთებიც, რომელთაც შეკვეცილი თვითმართველობა აქვთ; დასასრულ, ისეთი ახალშენებიც მოიპოვებიან, რომელნიც სრულ ავტონომიურ ახალშენებს წარმოადგენენ. უკანასკნელთა შორის არის მთელი ფედერაციები, მაგალ, კანადა (1867 წლიდან), ავსტრალია (1900 წლიდან).

იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ძველ კულტურის მქონე პროვინციებში ნამდვილ დესპოტიურ მართვა-გამგეობას ვხედავთ, სადაც განათლებულ პირებს სჭირდებათ იმის მტკიცება, რომ ბოქაულების, პოლიცმეისტრების და გუბერნატორების საშუალებით წარმოებული მართვა-გამგეობა ხალხისა არ არის უკანასკნელი სიტყვა პოლიტიკურ სიბრძნისა და რომ სასამართლოებსა და ადმინისტრაციაში უნდა იყოს გაბატონებული მშობლიური და არა უცხო ენა,—იმ დროს, ვამბობთ, ავსტრალიის ახალშენი, რომელიც ერთს დროს ყაჩაღთა და ავაზაკთა თავშესაფარს წარმოადგენდა, ისე აყვავდა და განვითარდა, რომ თავის აგრარულ და მუშათა კანონებით მთელი ქვეყანა დააინტერესა.

რასაკვირველია, ყველას ესმის, რომ ამგვარის გზით ეროვნულ კითხვის გარდამწყვეტად საჭიროა განსაკუთრებული პირობები—ტომებრივი, პოლიტიკური და კულტურული.

ამ მხრით მეტად საინტერესოა ის სიტყვები, რომლითაც იწყება ბრიტანიის პარლამენტის შესანიშნავი კანონი (29 მარტის 1867 წლ.), რომელმაც მიანიჭა კანადას ახლანდელი წესწყობილება:

„ვიღებთ რა მხედველობაში,—სწერია იქ,—რომ პროვინციებმა კანადამ, ახალმა შოტლანდიამ და ახალმა ბრაუნშვეიგმა გამოაცხადეს სურვილი ფედერალურის კავშირის შეკვრისა ისე, რომ წარმოადგენდნენ ერთს სამფლობელოს დიდის ბრიტანიისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს, რომელიც იმავე საფუძველზე იქნება დამყარებული, რა საფუძველზედაცაა შეერთებულ სამეფოს კონსტიტუცია; შემდეგ, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ამგვარი კავშირი მოასწავებს პროვინციების აყვავებას და დაიცავს ბრიტანიის იმპერიის ინტერესებს; მივიღებთ რა, აგრეთვე, მხედველობაში, რომ კავშირის დამყარებისთანავე პარლამენტის ძალით საჭიროა გამოირკვეს ფედერაციის არა მარტო კანონმდებლობითი უფლების მოწყობა, არამედ აღმასრულებელ უფლებისაც... მისი უდიდებულესობა, დედოფალი, სასულიერო და საერო ლორდებისა და თემების რჩევითა და თანხმობით, რომელნიც არიან შეკრებილნი პარლამენტში თავის უფლებით, აცხადებს, რომ"... და სხვ.

ამგვარად, „პროვინციებმა" ისურვეს, იმპერიამ განსაჯა, რომ ეს სურვილი საფუძვლიანია, იმათთვის არ არის საზარალო და პროვინციებიდანაც შესდგა ფედერაცია. კანადას აქვს საკუთარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლება. გავიხსენოთ, რომ კავშირის საკანონმდებლო უფლების ელემენტებს შეადგენენ: მეფე, უმაღლესი პალატა (სენატი) და თემთა (დეპუტატთა) პალატა; ხოლო კანადის გამგებლობა და აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის ტახტს, რომლის ორგანოდ, ანუ წარმომადგენლად, ახალშენში გენერალ-გუბერნატორი ითვლება. გენერალ-გუბერნატორი ასრულებს თავისს მოვალეობას მინისტრების დახმარებით, რომელნიც პასუხის-მგებელნი არიან კანადის პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუციის ფედერაციისა და პროვინციების უფლებათ ცალ-ცალკე იხსენიებს.

პრინციპიალურად, კანადა ითვლება პროვინციად, ინგლისის ოლქად, რომელმაც, ასე ვთქვათ, საპროვინციო თავისუფლება მიიღო შეერთებულ სამეფოსა და ზღვის იქით მდებარე ახალშენების ერთობა იურიდიულის მხრით ხელ-შეუხლებელი რჩება, რადგანაც ლონდონის პარლამენტს უმაღლესი ზედამხედველობა ეკუთვნის.

ინგლისის ახალშენების ავტონომიებს ისეთი თავისებურობა ეტყობათ, რომ მაგალითებად ვერ გამოდგებიან ევროპისათვის. ევროპამ რომ შეითვისოს კიდეც თავისუფლების გრძნობა და თვითმართველობის პრინციპი, რომელიც ინგლისელებს აქვთ, როგორ გააჩენენ ოკეანეებს, რომელნიც აშორებენ ცენტრსა და განაპირა მხარეებს, როგორ გააქარწყლებენ „პოლიციურ რეჟიმს" და «შინაგან საქმეთა სამინისტროს» ტრადიციებს, რომელიც ასე შეთვისებული აქვს. ინგლისის სხვადასხვა ნაწილისა და კოლონიის მდგომარეობაში დიდ ნაირ-ნაირობას შევხვდებით. კანადა არ წარმოადგენს არც დამოკიდებულ სახელმწიფოს, არც იმისთანა სახელმწიფოს, რომელიც სხვასთან უნიით არის შეკავშირებული. იგი არც ევროპის პროვინციის თვითმართველობის მქონეა. ინდოეთის წესწყობილება არსებულ თეორიებით არ იხსნება. თვით ინგლისშიაც მოიძებნებინა ისეთი ელემენტები, რომელნიც ძლიერ განსხვავდებიან იმისაგან, რასაც ვხედავთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

რას წარმოადგენს, მაგალითად, შოტლანდია? არც ავტონომიურ პროვინციას, არც უფლებამოკლებულ განაპირა მხარეს. ეს მხარე, რომელშიაც ოთხ მილიონზე მეტი მცხოვრები ითვლება, მართალია, პარლამენტის საკანონმდებლო საერთო უფლების ქვეშ იმყოფება, მაგრამ მაინც მას თავისი ელფერი დაკარგული არა აქვს, რადგანაც მთელი ინგლისის კანონები და სახელმწიფო წესები ძალიან გადაგვარების წინააღმდეგია. შოტლანდიას აქვს: საკუთარი სასამართლოები, თავისი სახელმწიფო ეკლესია, სახალხო განათლების საკუთარი დეპარტამენტი, ადგილობრივ თვითმართველობის საკუთარი საბჭო; ლონდონში კი შოტლანდიის საქმეებისათვის ცალ-ცალკე სეკრეტარიატი არის დაარსებული.

შოტლანდიელებმა თავი იჩინეს ლიტერატურასა, მხატვრობასა, ფილოსოფიასა და სარწმუნოებაშიაც. თავის ეროვნებასაც არ უღალატეს და ინგლისსაც მიაშველეს სხვადასხვა გვარ სარბიელზე გამოჩენილი მოღვაწეები.

ცხადია, აქ მარტო „ადგილობრივი წესები" არ არის, მაგრამ იმავე დროს აქ არც ძალიან გარკვეული გარეგანი ფორმაა, რომელსაც ჰქონის ისტორია. და ხალხის საკუთარი კულტურა. მას ხელი შეუწყო ინგლისში გაბატონებულმა თავისუფლებამ და იმ გარემოებამაც, რომ თვით ინგლისში ცენტრი იმდენად არ არის გაბატონებული, რომ იქ,—კანონმდებლობასა და სხვადასხვა დაწესებულებაში დიდი ალაგი ჰქონდა დათმობილი ადგილობრივ თვითმართველობას.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

7 ივლისი

პეტერბურგი, 7 ივლისი. [illegible] დაიჭირეს.

ვარშავა, 7 ივლისი. ქალაქის საზღვარზე, რვა საათზე, შვიდმა კაცმა საერობო დარაჯი ბოკოში მოჰკლეს და მიიმალნენ.

სევსკი, 7 ივლისი. ხარკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა მიტარევსკის მამულის აკლების საქმე. ბრალი 41 კაცს ედებოდა. დაიბარეს 34 მოწმე. დამნაშავეთ იცავდნენ: ჟდანოვი, სტაალი, რაპი და დუბასოვსკი. 4 კაცი გაამართლეს, სამს ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს, ერთს თხუთმეტის თვით და დანარჩენს თოთხმეტის თვით საპატიმრო განყოფილებაში დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

ბელგრადი, 6 ივლისი. „პეტერბურგის საგენტოს" ცნობა იმას შესახებ, რომ სერბიასა და ბულგარიას შუა სავაჭრო ხელშეკრულობაზე მოლაპარაკება ავსტრო-უნგრეთის პროტესტის მიზეზით შესწყდა, სიმართლეს მოკლებულია.

აჯიკენტი, 7 ივლისი. ნამესტნიკმა ბრძანება გასცა, რომ ყაზახის მაზრის მცხოვრებ თათრებს კვლავ დაუბრუნდეთ ის 3,300 დესეტინა მიწა, რომელიც გადმოსახლებულ რუსთათვის ჩამოართვეს, რამაც თათრების ოსმალეთში გადასახლება გამოიწვია. გადმოსახლებულ რუსებს, ნაბრძანებია, მართლა თავისუფალი მიწები მიეზომოს.

ხარკოვი, 7 ივლისი. გენერალ-ადიუტანტმა სტრუკოვმა ლებედინისა და სუმის მაზრები ჩამოიარა, სადაც აგრარული მოძრაობა იყო. ამის შემდეგ სტრუკოვი პეტერბურგს გაემგზავრა. მან გლეხებს განუმარტა მათი უკანონო და დამღუპველი საქციელი, უფლების შელახვა და ძალმომრეობა. ამხანად ამ მაზრებში საწყნარია. მინდვრის მუშაობა ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგა.

ტაშკენტი, 7 ივლისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით, გენერალ-გუბერნატორმა მოხელეთა და სამხედრო პირთაგან კომისია შეადგინა, რომელმაც ხალხის წარმომადგენელთა საკითხი უნდა განიხილოს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების მიხედვით.

მაკარია, 7 ივლისი. სამხედრო სასამართლომ როტმისტრ გრეშნერის მკვლელს აზნაურს ნიკიფოროვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ხოლო შესაძლებლად სცნო, იშუამდგომლოს, რომ ჩამოხრჩობა ოცის წლით კატორღით შეეცვალოს.

პეტერბურგი, 7 ივლისი. ოფიციალურად. ბირჟის სავაჭრო და სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრების წესები გამოცხადდა. ადგილობრივს და გარედ ვაჭრობის საჭიროებათა გამოსაკვლევად ადგილობრივი და სრულიად-რუსეთის კრებები გაიმართება. ადგილობრივი კრება იმ ქალაქებში გაიმართება, სადაც საბირჟო კომიტეტებია; კრება განიყოფება: საზოგადოდ, საბირჟოდ, საკუთრივ ხორბლეულის მოვაჭრეთა კრებად, სოფლის სხვა დარგის მეურნეობისად და ვაჭრობის სხვა საჭიროებათა კრებად. კრებებს უფლება ეძლევათ სათანადო დაწესებულებებში შუამდგომლობა აღძრან, მმართველობისა და საზოგადო დაწესებულებასთან დამოკიდებულება იქონიონ. სრულიად-რუსეთის კრებაზე

წევრის უფლებით ისარგებლებს: თითო საბირჟო საზოგადოების ერთი წარმომადგენელი, ადგილობრივ საზოგადო კრების თავმჯდომარენი, მათი საბჭოები, თავმჯდომარე და წევრნი სრულიად-რუსეთის კრებისა, იმ ადგილობრივ საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარენი, სადაც სრულიად-რუსეთის კრება მოხდება. როდესაც კრება ხორბლეულით ვაჭრობის საკითხებს შეეხება, კრებაზე დასწრების ნება ეძლევათ ადგილობრივ საკუთრივ ხორბლეულის სავაჭრო კომიტეტების თავმჯდომარეთ, განსაკუთრებულ კრების წარმომადგენელთ—თითოსაგან 3 და ქალაქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, ამხანაგობათა, კავშირთა წარმომადგენელთ. კრებაზე რჩევის მიცემის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქმნენ მრეწველობის, რკინის გზათა, ნავოსნობის, საკრედიტო დაწესებულებათა, წარმომადგენელნი და სხვა მცოდნე პირნი. სრულიად რუსეთის კრებათა საქმეების გამგეობა, პროგრამის შემუშავება, დადგენილებათა სისრულეში მოყვანა, კრებების სამუდამო საბჭოს და ადგილობრივს კრებებისა მოწესრიგება საბირჟო კომიტეტებისა და საგანგებო სამუდამო საბჭოებს უნდა მიენდოს. კრებებს უფლება ეძლევათ, დროებითი და სამუდამო კომისიები ამოირჩიონ მახლობელ საქმეებისა და საკითხების განსახილველად. კრებებისათვის საჭირო ხარჯებს საბირჟო კომიტეტები იკისრებენ. კრებების გამართვისა, წეს-რიგისა, და თანამდებობის პირთა ორგანიზაციის არჩევნების წესებს კრებები შეიმუშავებენ და დასამტკიცებლად ფინანსთა მინისტრს წარუდგენენ, რომელსაც დავალებული აქვს კრებებისა და მათ საბჭოთა მოღვაწეობას თვალყური ადევნოს. ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, პეტერბურგის საბირჟო კომიტეტს მიეცემა პირველად ამასთანა კრების მოწვევის ნება, როდესაც მინისტრი საჭიროდ სცნობს.

სპეცია, 7 ივლისი, ჯავშნოსან „ფრანჩესკ მოროზინი“-ზე, აჯანყდა 30 უნტერ-ოფიცერი. აჯანყება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გემის უფროსი ჯარის კაცთ უდიერად ამუშავებდა. უფროსმა მოთავეები დაატუსაღა და მინისტრს მოხსენება გაუგზავნა. მინისტრმა ბრძანება გასცა დაატუსაღონ გემის უფროსი და მისი ადიუტანტი.

ნიკოლაევი, 7 ივლისი. ბირჟის საზოგადოებამ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა და მოითხოვა, რომ ნიკოლაევში სამხედრო წესები გააუქმონ, რადგან ვაჭრობას ხელს მეტად უშლისო.

ვარშავა, 7 ივლისი. „ვარშავსკი კურიერ“-ის სიტყვით, სახლის პატრონნი შეკრებილან, მოულაპარაკნიათ და მინისტრთა საბჭოში დეპეშა გაუგზავნიათ. თხოულობენ, ქალაქის თვითმმართველობის შემოღების დაჩქარებას, ყველა ქვეშევრდომთა უფლების გათანასწორებას, ჩამომავლობისა და სარწმუნოების მიუხედავად, და პოლონურ ენის თავისუფლების აღიარებას.

ხარკოვი, 7 ივლისი. საგუბერნიო საერობო გამგეობამ მიიღო ხალხში გასავრცელებლად 40,000 მის მიერ შეკვეთილი წიგნაკი, რომელშიაც მოთავ- ლესი უქაზები, 18 თებერვლის რესკრიპტი, ქალაქ- ბისა და ერობის დეპუტატთა წარდგენის ანგარიშები, დეპუტატთა მიერ წარმოთქმული სიტყვები და ამაზე ხელმწიფის პასუხი.

სევსკი, 7 ივლისი. გენერალ ბობილევის მამულში მომხდარ უწესოებათა შესახებ საქმე გაირჩა. ბრალსა სდებდნენ 37 კაცს. ხუთი ბრალდებული 18 თვით გამასწორებელ რაზმში გაიგზავნა, ცხრამეტს ციხეში 8 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს, ერთს—6 თვე და ერთსაც—2 თვე.

ბერლინი. ტახტზე ასვლის გამო ჰერცოგ კარლ კობურგ-გოტსკიმ აპატია ყველას, ვისაც კი ხელმწიფის შეურაცხყოფა, სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლის განზრახვა და ბეჭდვითი სიტყვის კანონის წინააღმდეგ დანაშაულობა ბრალდებოდა.

ტომსკი, 7 ივლისი. სახალხო უნივერსიტეტისთვის შემოწირულება 12,000 მანათამდე ავიდა.

ხარკოვი, 7 ივლისი. „იუჟნი კრაი“-ს სიტყვით, სოფელ ალექსანდროვკასთან ყელი გამოუჭრიათ 14 გასათხოვარ ქალისთვის, რომლებიც მებატონის მამულიდან დაბრუნდნენ და მინდორში ეძინათ. ბოროტ-განზრახველნი მემამულის ნოქრები არიან.

სევასტოპოლი, 7 ივლისი. „დონეც“-მა მოიტანა ერთი კაცის გვამი, რომელიც წყალს აკმეჩეტ-თან გამოერიყა. ჰფიქრობენ, ეს ექიმი სმირნოვი უნდა იყოსო.

პარიზი, 7 ივლისი. მთავრობას აზრადა აქვს დარბაზობის გადასახდელად ამერიკაში ესკადრა გაგზავნოს.

პეტერბურგი, 7 ივლისი. ოფიციალურად. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება. გაზეთ „რუსკია ვედომოსტის“ მავნე მიმართულებისა გამო, რაც, სხვათა შორის, გამოიხატა 134 და 152 ნომრების მოწინავე წერილებში და 180 ნომრის წერილში „მომავალ წარმომადგენლობის ორგანიზაციის შესახებ“, შინაგან საქმეთა მინისტრმა, საცენზ. და ბეჭდ. წესდების 144 მუხლის ძალით და თანახმად ბეჭდვითი საქმეთა უმთავრეს სამმართველოს დადგენილებისა, დაადგინა, გამოეცხადოს გაზეთ „რუსკია ვედომოსტი“-ს რედაქტორ-გამომცემელს ვასილ მიხეილის ძეს სობოლევსკის პირველი გაფრთხილება. გაზეთ „ნოვოსტი“-ს მავნე მიმართულების გამო, რაც, სხვათაშორის, წერილებში „ვინ არიან შემავიწროებელნი“, „დღიური შენიშვნები“ და „ნაფიც ვექილთა კომისიის მოხსენება“, რომლებიც მოთავსებული იყო ამ გაზეთის 159,165 და 171 ნომრებში, შინაგან საქმეთა მინისტრმა, საცენზ. და ბეჭდ. წესდების 144 მუხლის ძალით და თანახმად ბეჭდვითი საქმეთა უმთავრეს სამმართველოს დადგენილებისა, დაადგინა გამოეცხადოს გაზეთ „ნოვოსტის“ გამომცემელს ინჟენერ იულიან ბორისის ძე ბაკს და რედაქტორს ოსიპ კონსტანტინეს ძე ნოტოვიჩს პირველი გაფრთხილება და აღეკრძალოს მათ ამ გამოცემის ნომრობით გაყიდვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, საცენზ. და ბეჭდ. წესდ. 156 მუხლის ძალით და თანახმად ბეჭდვითი საქმის უმთავრეს სამმართველოს დადგენილებისა, დაად- შეაჩეროს.

„პრავიტელსტვენი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „გაზეთ „სლოვო“-ში მოთავსებულ ცნობას, ვითომც ვიღასაც სტატს-სეკრეტარ პობედონოსცევის მოკვლა განეზრახოს, უარჰყოფს შემდეგი ცნობა: 6 ივლისს, შუადღის 12 საათზე, ცარსკოე სელოდან პეტერბურგში დაბრუნდა უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორი. როდესაც პობედონოსცევი ვაგზლიდან გამოდიოდა, ერთმა მისმა მხლებელთაგანმა ყურადღება მიაქცია ერთს კაცს, რომელიც ვაგზალზე ერთი კუთხიდან მეორეში დარბოდა. კაცი შეიპყრეს და გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა მხოლოდ ერთი ცხვირსახოცი. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ გვარად იყო ალექსანდროვი, ხელობით მკერავი. თავისი მღელვარება იმითი ახსნა, რომ იმ მატარებლით ოჯახისას ელოდა, მაგრამ არ ჩამოუვიდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

6 ივლისი

პარიზი, 7 ივლისი. რადგანაც შეიძლება, რომ იაპონელების პირობები რუსეთის ეროვნულ თავმოყვარეობისთვის მეტად სამძიმო იყოს და ვიტტეს მდგომარეობა ამიტომ ძნელი გახდეს, პოლიტიკურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ საფრანგეთმა როგორმე ინგლისის საშუალებით გავლენა უნდა იქონიოს იაპონიაზეო; იაპონიამ უნდა ზომიერი პირობები დასდოს, თორემ, თუ რუსეთმა იმის სასარგებლოდ მილიარდები გადაიხადა, მალე იაპონია აზიიდან ყველა ევროპიელებს გააძევებსო.

ტოკიო, 7 ივლისი. ერთმა დატყვევებულმა რუსის გენერალმა წინადადება მისცა იაპონელებს, ტყვეები განთავისუფლებინათ იმ პირობით, რომ ომში მონაწილეობა აღარ მიიღონ. იაპონიის მთავრობამ უარჰყო ეს წინადადება და უპასუხა, მზადა ვართ ტყვეები გავცვალოთო.

ლაპალისი, 7 ივლისი. რუსის კონტრ-ნაღმიანი გემი „პროზორლივი“ და ნაღმიანი გემი № 222 გუშინ კუნძულ კრიტზე მივიდნენ. რუსის კრეისერი „რიონი“ ჯიბუთიდან ალჟირში მივიდა.

ვლადივოსტოკი, 7 ივლისი. გაშკევიჩის ყურეში 4 ივლისს იაპონიის ოთხი კრეისერი და ხუთი ნაღმიანი გემი დაინახეს.

ლონდონი, ივლისი. „ტაიმსი“ ფიქრობს, რომ რუსეთი ჩინეთს მოსთხოვს იმ ფულს, რომელიც მანჯურიის რკინის გზის გაყვანაზე დახარჯა. ფული ჩინეთმა იაპონიას უნდა მისცეს რუსეთის კონტრიბუციის სათვალავში. ფულს ჩინეთს საფრანგეთი მისცემს. ვიტტე ამის შესახებ მინისტრ-პრეზიდენტს რუვიეს მოელაპარაკება.

პარიზი, 7 ივლისი. როგორც „მატენ“-ი ლო- ზავი ადვილი შესაძლებელია, რადგან იაპონიის მოთხოვნილებანი ძალიან მცირეაო, თუმცა იაპონია კონტრიბუციას, სახალინსა და ციმბირის ნაპირებზე თევზის ჭერის ნებას დაპეჯითებით თხოულობსო. კონფერენციაზე ოფიციალურ ენად—ფრანგული ენაა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლის მოლოდინში. გუნჯულინიდან იუწყებიან: მიშჩენკოს კიდევ ჰქონდა მტერთან მცირე შეტაკება, მაგრამ საქმის მდგომარეობა არაფრით შეუცვლია. ჩინეთის ცნობებით, მანჯურიაში თავგანწირული ბრძოლა 5—8 ივლისს მოხდებაო.

ჟანდარმერია შორეულ აღმოსავლეთში. მთავარ-სარდლის განკარგულებით, ბრძოლის არე-მარეში მოსულ გარეშე კაცთა თვალ-ყურის გდება ჟანდარმერიასა და პოლიციის მოხელეთ დაევალათ. ჯარში, საველე ჟანდარმერიის გარდა, აუარებელი რიცხვია საპოლიციო ჟანდარმერიისა, რომელიც, შორეულ-აღმოსავლეთში ადმირალად ყოფნის დროს ალექსეევმა გამოიწერაო.

იაპონელები რუსებს აფრთხილებენ. გუნჯულინიდან იუწყებიან: რუსეთის მიაწინავე პოზიციებს იაპონელები ბარათებს მიუგდებენ ხოლმე, ატყობინებენ, მალე მედგარის იერიშით მოვალთო. ასეთი ბარათები იაპონელებმა ლიაოიანისა და მუკდენის ბრძოლის წინადაც მიუგდეს რუსებს და ნამდვილად აღნიშნეს უმთავრესი ბრძოლის დღე.

იაპონელთა სამზადისი საბრძოლველად. იაპონელებმა, გადამწყვეტ ბრძოლის მოლოდინში, თავისი პოზიციები ჩანტუფუჩანჩენძის ჩრდილოეთით გადაიტანეს. ჩანტუფუს აღმოსავლეთით მეტად გამაგრებული სიმაგრეები აქვთ. მანჯურიის გზას რკინის წრე შემოარტყეს და ზარბაზნებს უშენენ. ინცილინის სიმაღლეები დაიჭირეს იაპონელებმა, საიდანაც ნანჩენზის ველს დაჰყურებენ. ნანჩენზის სამხრეთით, 12 ვერსის მანძილზე, ჰაეროსტატი აუშვეს, რომელიც ჩვენის პოზიციებიდან მოსჩანდა.

კაბაფუტოზე (სახალინზე) **ბრძოლის შედეგი.** სახალინზე შეტაკების დროს, იაპონელებს 7 კაცი მოუკლეს და 16 დაუჭრეს. იაპონელებმა კაბაფუტის სამხრეთი ნაწილი უკვე ხელში ჩაიგდეს. ტოკიოდან იუწყებიან, რომ რუსეთის ჯარმა, რაც შესაძლებელი იყო, ყოველისფერი კაბაფუტის ჩრდილოეთ მხარეს გაჰგზავნა. ბერლინის გაზეთები გვარწმუნებდნენ, რომ იაპონელებმა მისთვის დაიჭირეს კაბაფუტო, რომ ხელიდან აღარ გაუშვანო.

იაპონიის ხარჯი და ზავის პირობები. იაპონიის ხარჯი ომიანობაზე დღითი-დღე იზრდება. მარტო ტყვეების შენახვაზე იაპონია კვირაში 140,000 მანათამდე ხარჯავსო. პორტ-არტუ- რუსეთის ჩაძირულ გემების ამოღებასა და ბრძოლის ველზე გასულ ჯარის კაცთა ხარჯი აღურიცხველია. ამის გამო ვაშინგტონის სახელმწიფო მოღვაწენი ფიქრობენ, რომ იაპონია ზავის ჩამოგდებას დაეშურება და ზომიერს პირობებს მიიღებსო.

რა გზას დაადგება იაპონია კაბაფუტოს დაპყრობის მერე? ამ საკითხის გამო „ნ. პრესი“ სწერს: ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწის აზრით, იაპონია კაბაფუტოს დაპყრობით დაასრულებს თავის სამხედრო მოქმედებას და ზავზე დაიწყებს ლაპარაკსაო. იაპონია იკმარებსო, ამბობენ ეს მოღვაწენი, მანჯურიასა, კორეასა, პორტ-არტურის დაპყრობას და კაბაფუტოს სამხედრო კონტრიბუციად ჩაითვლისო. ჩვენის აზრითაო,—დასძენს გაზეთი,—ეს მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. იაპონია კაბაფუტოს დაპყრობილ მხარედ აღიარებს და რუსეთი იძულებული გახდება ამ მოვლენას შეურიგდესო. სანამ იაპონია იქმნება გამარჯვებული ზღვასა თუ ხმელეთზე, საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ დათმობის პოლიტიკას დაადგესო, თუ მას მკვიდრისა და შეურყეველის ზავის დამყარება სურსო. რამდენადაც იაპონიისათვის ხელშემწყობია დღეს ზავის ჩამოგდება, იმდენად რუსეთისთვის უხერხულიაო...

რუსეთის წარმომადგენელნი ზავის საქმეში. გაზ. „ტან“-ი იუწყება, რომ რუსეთის რწმუნებულად და კონფერენციის მდივნად, სხვათა შორის, ალექსეევის კანცელარიის დირექტორად ნამყოფს პლანსონს და გარეშე საქმეთა სამინისტროს დირექტორს ნაბოკოვს ასახელებენო. „ნოვოსტ“-ი უმატებს, რომ ამ კომისიაში მყოფი რუსეთის საფინანსო აგენტი რუტკოვსკიც იქმნება, რომელიც ვაშინგტონში კარგა ხანს საკომერციო აგენტად იყოვო.

რუსეთის რწმუნებულთა ჯამაგირები. გაზეთი „ნოვ.“ გადმოგვცემს, რომ როდესაც სტატს-სეკრეტარი მურავიოვი მთავარ რწმუნებულად მოიწვიეს ვაშინგტონში წასასვლელად, ზავის მოლაპარაკების დროს სულ 50,000 ფრანკი (18,750 მან.) დაუნიშნესო. კომისიის სხვა წევრთა თვიური ჯამაგირი 3,000 (1125 მან.) 10,000 ფრანკამდე (3750 მან.) ადიოდა.

„ნოვოე ვრემია“ გულისწყრომით აცხადებს: იმ დროს, როდესაც იაპონელებს სახალინზე ჯარი გადაჰყავთ, ჩვენი სამხედრო უწყება ქვეყანას ატყობინებს, რომ სახალინზე პირველი და მეორე ბატალიონი ახლა შესდგებაო, რაც სახალინზე ჯარია, სულ ერთს ბრიგადას შეადგენსო.

იქავე მოხსენებულია, რომ კამჩატკაშიაც ახლა შეუდგა მთავრობა ჯარის გამოწყობასა და თავმოყრასაო. ასეთივე ცნობები ნიკოლაევსკისა, ბლაგოვეშჩენსკისა და ნოვოკიევსკის შესახებაცაა გამოქვეყნებული.

რისთვის და ვისთვის ამჟღავნებს ამ ცნობებს სამხედრო უწყება?.. ჰკითხულობს გაზეთი. ნუ მიახწიოს და საქმე გაუადვილოსო?!..

ფელეტონი

ხალხის სუვერენიტეტი და რეფერენდუმი

გ. ა. რეისნერისა

არ არსებობს დედამიწაზე არც ერთი ისეთი სახელმწიფო, რომელიც ბოლოს და ბოლოს ხალხის სურვილზე არ იყოს დამყარებული. ახალის ტიპის თვითმპყრობელი სახელმწიფოები მთავრობის არსებობისთვის ღვთაებრივ წყაროს აღარ კმარობდნენ, მთავრობის უფლებას ხალხის თანხმობაზე აგებდნენ და ამბობდნენ,—მთავრობას მისი საქმე ხალხისაგან აქვს მონდობილიო. ზოგიერთი ხელმწიფე, როგორიც იყო, მაგ., ლეოპოლდ II, თავის თავს ხალხის „დელეგატს“, ხალხის „მოსამსახურეს“ ეძახდა, ზოგიერთი კიდევ „ხალხის სარგებლობით“ სცდილობდა გაემართლებინა თავისი დესპოტობა და ხალხის ყოველისავე „უფლების“ უარის-ყოფა. ასე იქცეოდა ლუდოვიკო XIV და ფრიდრიხ II, ფიზიოკრატების თაყვანისმცემელი კარლი ფრიდრიხი ბადენელი და ავსტრიის ცეზარიზმის შემქნელიც იოსებ II. მაგრამ „ხალხის სურვილის“ თეორიული მიღება საქმით უკიდურეს თვითნებობის გაძლიერებას არ უშლიდა,—თვით ეს „დელეგატები“ და „ხალხის მოსამსახურეები“ ახერხებდნენ ადვილად ხალხის დამცირებას და შევიწროებას... ხშირი იყო ისეთი მაგალითებიც, რომ სახელმწიფო მოღვაწეები ჯოხსა და მათრახს ხმარობდნენ და აცხადებდნენ,—მიზნად ხალხის კეთილდღეობა გვაქვს დასახულიო.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხის წარმომადგენლობა დამყარდა სახელმწიფოში, ხალხის უფლებებსა და ხალხის ბატონობას ნამდვილი საფუძველიც მიეცა. ხალხის გაბატონების პრინციპი ჯერ ინგლისიდან ამერიკაში გადავიდა, შემდეგ იქიდან საფრანგეთში იქმნა გადმოტანილი საფრანგეთის დიდ რევოლუციის წინ... ამ პრინციპმა უძლეველი განმანთავისუფლებელი მოძრაობა შექმნა, განაახლა ევროპა, ახალი წყობილება დაამყარა სხვადასხვა სახელმწიფოში; ყველგან, სადაც თვითმპყრობელობის მაგივრად წარმომადგენლობა დამყარდა, ხალხი სახელმწიფო სუვერენიტეტის გამომხატველი შეიქმნა, დამფუძნებელ უფლების წყარო, უმაღლეს სახელმწიფო საქმეების დამოუკიდებელი შემსრულებელი.

ამერიკის რესპუბლიკაში სუვერენი, ნამდვილი ბატონი, „შეერთებულ შტატების ხალხია“,—ამ ხალხის სახელით გამოცემულია 1787 წ. ფედერატიული კონსტიტუცია, 13 პირვანდელ შტატის წარმომადგენელთაგან მოწონებული. შტატ კალიფორნიის ახალი კონსტიტუცია აცხადებს საჯაროდ: „ხალხს ეკუთვნის მთელი საპოლიტიკო უფლება“, „მთავრობა არის შემოღებული ხალხის დასაცველად, მის საკეთილდღეოდ და ამიტომ ხალხსავე ეძლევა უფლება საჭიროების გვარად შესცვალოს მთავრობა“. „ხალხის უმაღლესი სუვერენი უფლება მთლიანია, მისი გადაცემა ან წართმევა არ შეუძლია არავის,—ეს უფლება მთელ ხალხს ეკუთვნის; არც ერთ პირს სახელმწიფოში არ შეუძლია ხალხის ეს უფლება მიისაკუთროს“. „ხალხის სურვილზეა დამოკიდებული სახელმწიფოში არსებული ყოველი საპოლიტიკო უფლება, და ხალხი თავის სურვილს წარმომადგენლობის პირით აცხადებს ხოლმე“,—სწერია 1791 წლის საფრანგეთის კონსტიტუციაში. ესევე აზრი 1848 წლის კონსტიტუციაშიაც არის გამეორებული. აქაც საერო კრება აცხადებს, რომ სუვერენიტეტი „საფრანგეთის ყველა მოქალაქეს საერთოდ ეკუთვნის“. „სუვერენიტეტი განუყოფელია, მისი წართმევა არ შეიძლება“. „შვეიცარიის კავშირის“ სახელით არის გამოცემული 1874 წ. შვეიცარიის კონსტიტუციაც. შვეიცარიის სხვადასხვა კანტონის კონსტიტუციაში ხალხის სუვერენიტეტის შესახებ შეხედვა „სუვერენიტეტი მთელს ხალხს ეკუთვნის, ამ სუვერენიტეტის განხორციელება კონსტიტუციისაგან აღნიშნულ საზღვრებში შეიძლება—ან პირდაპირ ხალხისაგან საარჩევნო და საპოლიტიკო კრებებში, ან კონსტიტუციისაგან დაწესებულ თანამდებობათა აღმასრულებლებისგან: ამნაირად არის დახასიათებული ხალხის ბატონობის უფლება ბერნის კონსტიტუციაში, ასევე ახასიათებს მას ჟენევის კონსტიტუციაც. „სუვერენიტეტი ხალხის კუთვნილებაა. ყველა საპოლიტიკო უფლება, ყველა საზოგადო თანამდებობა მის მინდობილებით არსებობს. ხალხს შეადგენს ყველა მოქალაქე საერთოდ. აპენცელერის კონსტიტუციაშიაც ასევე სწერია: სახელმწიფოში ხალხს ეკუთვნის უმაღლესი უფლება. ამ უფლებას ან თვითონ ხალხი განახორციელებს საერო კრებებში, ან საამისოდ კონსტიტუციაში ნაჩვენებ სახით არჩეულ მოხელეებს მიანდობს“.

თანამედროვე მონარქიული სახელმწიფოებიც არ უარჰყოფენ ხალხის გაბატონებას, როდესაც მათში საკონსტიტუციო-საპარლამენტო წყობილება შემოდის. მაგ. 1831 წ. ბელგიის კონსტიტუცია, ხალხის სახელით გამოცემული, გადაჭრით აცხადებს, რომ „ყველა საპოლიტიკო უფლება სახელმწიფოში ხალხის სურვილზეა აგებული, ყველა ეს უფლება კონსტიტუციისაგან ნაჩვენებ სახით უნდა იყოს განხორციელებული“. „მეფეს მხოლოდ ის უფლება ეკუთვნის, რომელსაც გარკვევით მას მიანდობს კონსტიტუცია, რომელსაც მას, კონსტიტუციის ძალით, ხალხისაგან გამოცემული კანონი მიანიჭებს შემდეგში.“

ასეთ მიმართულებას ადგია ყველა თანამედროვე კონსტიტუცია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში დაწყებულმა ძლიერმა საზოგადო მიმართულებამ შექმნა ან შეასწორა. ყოველი „საკონსტიტუციო საკითხი ბოლოს და ბოლოს ძალაზე აგებულია და არა რომელსამე კანონზე ან უფლებაზე; სახელმწიფოს ნამდვილი კონსტიტუცია ხალხშია, ხალხის სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობაში; დაწერილი კონსტიტუცია მხოლოდ მაშინ არის მკვიდრი, როდესაც საზოგადოებაში არსებულ ძალთა ურთიერთობის სისწორით გამომხატველია“... ამასვე ამტკიცებს ვენის პროფესორი ზეიდლერიც: „საზოგადოების სოციალ-ფსიხიური ძალები, რომლებზედაც სახელმწიფოს არსებობა არის დამყარებული,—კონსტიტუციის ჩამოწერამდის ნამდვილად არსებობს ხალხში... კონსტიტუციის შემქნელი დამფუძნებელი კრება თავისით ან თავის ნებაზე როდი ჰქმნის სახელმწიფოს ან კონსტიტუციასა,—ეს კრება მხოლოდ გამოხატავს იმ საზოგადო განვითარებას, რომელიც თავის-თავად ჰქმნის სახელმწიფოსაც და კონსტიტუციას. ხალხი დაწერილ კონსტიტუციის სახით მხოლოდ თავის არსებობას თავის უფლებებს გამოაცხადებს“... „ყოველი კონსტიტუცია ძალთა ფაქტიურ ურთიერთობის, ფაქტიურად არსებულ წყობილების გამომხატველია“,—უმატებს მეორე მეცნიერი ჰერნრიტი. კონსტიტუციის იდეოლოგია, კონსტიტუციის ტერმინები ცხოვრებას მისდევს, არსებულ ფაქტებს გამოხატავს, ამ ფაქტებს იურიდიულ სახესაც აძლევენ. ამიტომ იქ, სადაც კაპიტალისტურ წყობილების გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა თანდათან ხალხის გაპროლეტარიატება და ლიბერალ-ბურჟუაზიის ძალა,—სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუციებშიაც თანდათან ფეხს იკიდებდა ლიბერალ-დემოკრატიული იდეალები, თანდათან მეტი უფლება ეძლეოდა ხალხის უმეტესობას, მეტი მონაწილეობა კანონმდებლობასა და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ახლა, როდესაც დემოკრატიულ მიმართულებას დაადგა ხალხი, „ზევიდან, მეფისაგან ნაწყალობევი უფლება არავის აღარ უნდა,—ახლა მოითხოვს ყველა, რომ თვით ხალხმა ზევით მდგომ მთავრობას მიანიჭოს თავის ნებით საჭირო უფლება... მაგრამ ესეც არ კმარა,—ეკონომიურ ცხოვრებაშიაც თანასწორობას რეალური მნიშვნელობა ეძლევა. მართალია, აქ მას ჯერ გარკვეული სახე არ მიუღია, მაგრამ ცხადია, რომ ხალხი გაცხარებით მიისწრაფვის მის მისაღწევად,—ამის დასამტკიცებლად საკმარისია თანამედროვე კანონდებულებას დააკვირდეს ადამიანი... თანამედროვე კანონები აშკარად ხდის, რომ თანდათან ირკვევა შრომის კოდექსი, რომელიც სოციალურ უთანასწორობასთან დაწყებულ ბრძოლის თვალსაჩინო გამომხატველი იქმნება“.

თანამედროვე დემოკრატიულმა მოძრაობამ სხვადასხვა ნაირად მოაწყო ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოს გამგეობაში. ამერიკისა და შვეიცარიის ხალხის პირდაპირი მონაწილეობა კანონმდებლობის საქმეში, საამისოდ წარმომადგენლების არჩევა, სახელმწიფო წყობილების უმთავრეს შემთხვევაში საყოველთაო კენჭის ყრა ან მხოლოდ წარმომადგენელთა არჩევაში მონაწილეობის მიღება, ცენტრალური პარლამენტი, აღმასრულებელ უფლების მთავარ წარმომადგენლის პირდაპირი ან მრავალკეცი არჩევა, თვითმართველობა სხვადასხვა სახით, ადმინისტრატიული უმაღლესი კოლეგიები,—ყოველივე ეს სახელმწიფო მოღვაწეობის სხვადასხვა სახეა,—ყველგან ხალხი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიმღებია, თუმცა ყველგან თანასწორად არ არის განხორციელებული ხალხის გაბატონების პრინციპი და ხშირად ცხოვრების სინამდვილე საკონსტიტუციო კანონის წინააღმდეგი რჩება, ხშირად ძირითადი კანონი ყოველსავე ძალას მოკლებული, ლამაზი და წარმტაცი თეორიაა.

ხალხი სხვადასხვა სახელმწიფოში თანასწორს მონაწილეობას არ იღებს მართვა-გამგეობის საქმეში, მხოლოდ ზოგან ხალხი თვითონ პირდაპირ ერევა სახელმწიფოს გამგეობაში, მაგ., თანამედროვე ამერიკაში, საფრანგეთის წარსულში, უწინდელსა და ახლანდელ შვეიცარიაში.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს იმ საქმეებში, რომელიც კონსტიტუციის შეცვლას ან მის შესწორებას ეხება. ხალხმა თვითონ უნდა გადასწყვიტოს, საჭიროა თუ არა დამფუძნებელ კონვენტის მოწვევა, და როდესაც კონვენტი კონსტიტუციის პროექტს შეიმუშავებს, ხალხმა უნდა მიიღოს ეს პროექტი, ან თვითონვე უარჰყოს იგი; როდესაც ამა თუ იმ შტატის კონსტიტუცია იცვლება, ამ შტატის პარლამენტი თვითონ ადგენს შეცვლისთვის პროექტს და ხალხს აძლევს დასამტკიცებლად,—ამისთვის საკმარისია მხოლოდ ამავე შტატში მცხოვრებთა თანხმობა.

საფრანგეთში 1792 წელს კონვენტმა გამოაცხადა, რომ ხალხი კანონმდებლობაში პირდაპირ მონაწილეობას თვითონვე უნდა იღებდეს, და ამ პრინციპს იმეორებდა საფრანგეთის კონსტიტუცია, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე შეიქმნა შეცვლილი რესპუბლიკის და ნაპოლეონების ბატონობის დროს. საქმითაც რამდენჯერმე ხალხს იქ უყრია კენჭი კონსტიტუციის სხვადასხვა შეცვლაზე. და 1870 წ. 20 აპრილის კონსტიტუცია ხომ ერთიანად იქმნა წარდგენილი ხალხს დასამტკიცებლად. მას შემდეგ საფრანგეთში ასეთი პლებისციტი აღარ მოხსენებიათ და, კონსტიტუცია თუ იქმნა შესაცვლელი რამეში, ამას კისრულობენ და ასრულებენ ხალხისგან არჩეული ჩვეულებრივი წარმომადგენლები,—თვით ხალხი პირდაპირ მონაწილეობისაგან ჩამოშორებული შეიქმნა.

სამაგიეროდ, შვეიცარიასა და მის სხვადასხვა კანტონში მეტად გავრცელებულია ხალხის კანონდებლობა. აქ ერთის მხრივ პატარა კანტონები შეგვხვდება, სადაც მთელი ხალხი იკრიბება და ყველა სახელმწიფო საქმეებსა და კანონების პროექტებს არკვევს,—ეს ნამდვილი ხალხური კანონმდებლობაა, რომელიც მხოლოდ იქ შეიძლება განხორციელდეს, სადაც ხალხი არ არის ბევრი და სადაც, ამიტომ, ყველას თავის მოყრაც შეუძლია ადვილად. მეორეს მხრივ იქვე, შვეიცარიაში, სხვადასხვანაირი რეფერენდუმი შეგვხვდება. ეს რეფერენდუმი სხვადასხვა სახისა ყოფილა. არის, მაგ. ისეთი რეფერენდუმი, სადაც ხალხმა გადაჭრით უნდა გამოსთქვას ახალ კანონზე თანხმობა ან უარი და სადაც კენჭის მიუცემლობა თანხმობის გამომხატველია,—ამნაირ რეფერენდუმს ჰქვია „veto“. შეიძლება ამნაირი რეფერენდუმიც იყოს, რომ საერო კრებაში მიღებული ყოველი კანონი ჩაითვლება პროექტად და შემდეგ ხალხისაგან უნდა იყოს მოწონებული. მაშინ ანგარიშის დროს მხოლოდ მიცემულ კენჭის რაოდენობა ჩაითვლება და საქმე გადაწყდება ხმის უბრალო უმეტესობით. შეიძლება ამნაირი რეფერენდუმი სავალდებულოც იყოს და მაშინ არც ერთ კანონს არ ექმნება კანონის ძალა, თუ ეს კანონი ჯერ ხალხისაგან არ იქმნა მოწონებული. შეიძლება რეფერენდუმი არ იყოს სავალდებულო და მაშინ ხალხს წარედგინება მოსაწონად ახალი კანონი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოქალაქეთა წინდაწინვე გადაწყვეტილი რაოდენობა,—რამდენიმე ათასი კაცი მოითხოვს.

ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში გამოიხატება აგრეთვე ხალხის ინციატივით ახალ კანონების გამოცემაში. მოქალაქეთა გადაწყვეტილ რაოდენობას უფლება ეძლევა მოითხოვოს, რომ ესა თუ ის კანონი ხალხს წარედგინოს მოსაწონებლად. ამნაირ შემთხვევაში საკანონმდებლო კრებას შეუძლია თან თავისი პროექტიც წარუდგინოს ხალხს და კენჭი ორსავე პროექტზე აყრევინოს.

რაკი ხალხის პლებისციტი ვახსენეთ, უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამა თუ იმ ხალხს ან ხალხის რომელსამე ნაწილს აძლევენ წინადადებას თავისი აზრი გამოსთქვას სხვა სახელმწიფოსთან შეერთების შესახებ. ასეთი კენჭის ყრა ვიქტორ-ემანუილის დროს ხშირი იყო იტალიაში. რომის მცხოვრებლებიც ასეთსავე სახით აღორძინებულ იტალიას შეუერთდნენ.

მაგრამ რეფერენდუმი საზოგადოდ უფრო მოსახერხებელია იქ, სადაც პატარა სახელმწიფო გვაქვს, სადაც სხვადასხვა საპოლიტიკო დასის ორგანიზაცია მეტად განვითარებულია, სადაც ხალხს შეუძლია წინდაწინვე გაიცნოს შემოსაღებ კანონის ნამდვილი მნიშვნელობა და მიზანი.

ვლადივოსტოკს ალყას არტყამენ. წარსულს ვეში იაპონიის ნაღმოსნებმა ოთხჯერ დაჰხედეს პუტიანინის მიდამოებს და აუარ-ჩაუარეს, ალბად საზვერავად იყვნენ. ახლა, როგორც ლონდონში შეუტყვიათ, ვლადივოსტოკს ზღვიდან ალყა უკვე შემოარტყეს.

რას მოითხოვს იაპონია? გამბურგის გაზეთები დაჟინებით გვარწმუნებენ, რომ იაპონია სამხედრო კონტრიბუციად 3 მილიარდ ფრანკს (1 მილიარდ და 125 მილიონ მანათს) მოსთხოვს რუსეთსაო.

იაპონიის სესხი პარიზში. იაპონიის სესხის ერთი ნაწილი პარიზის ბირჟაზე დაიტაცეს. სესხი პირველსავე დღეს ერთი ათად დაიფარა და ერთის პროცენტის მოგებით დაიყიდა.

კორსაკოვის სიმაგრე, რომელსაც იაპონიელებმა ზარბაზნები დაუშინეს, 27 იენისამდე ცეცხლის ალში იყო გახვეული. ქალაქი მთლად გადაიწვა.

სახალინზე. იაპონიის რაზმებმა, რუსები დაილალეს, სოფლები ვლადიმიროვსკი და ბლიჟნი ხელში ჩაიგდეს. შემდეგ სოფელ დალნის ჩრდილოეთით, 28 და 29 იენისს, შეტაკება ჰქონდათ რუსებთან. რუსები დიდად დაზარალდნენ, 150 კაცი დაჰკარგესო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ტფილისის **სათავად აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს** კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ სათავად აზნაურო სკოლას ეწოდოს სახელად ტფილისის სათავად-აზნაურო ქართული კერძო გიმნაზია, მოსამზადებელ განყოფილებებში სწავლება სწარმოებდეს 1881 წლის კანონის მიხედვით, ე. ი. ქართულ ენაზე, და გიმნაზიურ კლასებში ქართული ენა სავალდებულო სასწავლო საგანს შეადგენდეს. ნამესტნიკს ეს თხოვნა კომიტეტისა შეუწყნარებია.

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა შუამდგომლობა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტისა,** რომელიც წესდების მეოთხე და მეთვრამეტე მუხლის შეცვლას თხოულობდა. მე-4 მუხლი შემდეგნაირად შეიცვალა: საზოგადოების ნამდვილ წევრებად ითვლებიან ყველა საპატიო თავად-აზნაურნი ტფილისის გუბერნიისა, რომელთაც კი ხმის უფლება აქვთ კრებებზე და არჩევნებზე. მე-18 მუხლი შეიცვალა ასე: „საზოგადოების საქმეების ლიკვიდაციის შემდეგ, ამ სკოლის მთელი ქონება გადადის ტფილისის გუბერნიის მიწის მფლობელ თავად-აზნაურთა ხელში“.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს განსახილველად გადაეცა **საქმე კაბენის მონასტრის მიწებზე დასახლებულ გლეხებისა,** რომელნიც ჩივიან: ჩვე-[illegible] -ში ჩაიგდეს მოსულმა რუსის ბერებმა, დაგვიქციეს სვეტი-ცხოვლის სტილზე აგებული მონასტერი ძველის ზედწარწერებით, ააგეს კაზარმების მსგავსი შენობები და ჩვენს მიწა-წყალში აღარ გვიშვებენო.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა** უკვე შეუდგა მზადებას მომავალ სეზონისათვის. ამ აზრით 6 ივლისს მოხდა კრება გამგეობისა და მიწვეულ კაცებისა. როგორც გამოირკვა, გამგეობას უკვე გადმოთარგმნილი და ცენზურისაგან ნება დართული ჰქონია ოც ახალ პიესაზე მეტი. პიესები ცნობილ ევროპიელ დრამატურგებისაა. არის პიესები იბსენისა, ჰაუპტმანისა, ბიერნსონისა, ერვიესი, შნიტცლერისა, დრეიერისა, ბრაკოსი, ფერარისა, ჩეხოვისა, ნაიდენოვისა და მრავალ სხვათა. ამას გარდა, არის რამდენიმე პიესა გადმოთარგმნილი, მაგრამ ნება-დართული არ არის. სამწუხაროდ, ორგინალური პიესა ორის მეტი არა აქვს გამგეობას. კრებამ ყველა ამ პიესების გადასათვალიერებლად, ასარჩევად და, თუ საჭირო იქმნება, ენის გასასწორებლად, აარჩია კომისია შემდეგ პირთაგან: ნ. ავალიშვილისა, ივ. მაჭავარიანისა, ალ. სარაჯიშვილისა, ი. ალლაძისა და დ. დუმბაძისაგან. ქართული წარმოდგენები უთუოდ სახაზინო თეატრში მოეწყობა. ამის თაობაზე აჭამად მოლაპარაკებაა. (ც. ფ.).

✦ ხარჯთ-გამწერმა დეპარტამენტმა მიმართა ტფილისის გაზეთების რედაქციებს და მოსთხოვა ცნობები, **რამდენს ფულს იღებენ მათი თანამშრომლები.** ეს ცნობები დეპარტამენტს შემოსავლისა და გვარად ხარჯის განაწილებისთვის უნდა.

✦ ტფილისში, განოვის ქუჩაზე, გაიხსნა **ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის განყოფილება,** რომელსაც განაგებს გამგეობის წევრი ვ. ნ. ფალავა.

✦ გურია-სამეგრელოს ეპარქიის მართვა-გამგეობა მიენდო **იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს** იმ დრომდე, მინამ ეპისკოპოს დიმიტრის მაგიერს დანიშნავდნენ.

✦ ამ თვის 11-ს დაბა ახალ-სენაკში იქმნება **სამეგრელოს ბლაღოჩინების კრება,** რომელიც 22 ივნისს არ შესდგა. ბლაღოჩინები აპირობენ, სთხოვონ სინოდს, რომ მალე დაუნიშნონ ახალი ეპისკოპოსი.

✦ გუშინ, 8 ივლისს, დილით, ექსარხოსის სადგომში გარდაიცვალა **წევრი სრულიად საქართველოს სინოდალურ კანტორისა, არქიმანდრიტი ამფილოხი.** ის ითვლებოდა ექსარხოსის სახლის ეკონომად. როგორც ამბობენ, მ. ამფილოხის დიდი შეძლება დარჩენია: 103 ათასი მან. ბილეთებით და ნაღდ ფულად ჯიბეში აღმოსჩენია 750 მ.

✦ როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სინოდალურ კანტორის ქართლ-კახეთის განყოფილების მდივანი ს. ჩიტაძე ენკენისთვიდან **სამსახურს ეთხოვება** და იმის მაგივრად ნიშნავენ იმავე კანტორის მოხელეს ალ. დავითიშვილს.

✦ 6 ივლისს **კავკასიის ნამესტნიკის წინაშე წარსდგა ქართლის გლეხთა დეპუტაცია.** დეპუტაციაში იყო 38 გლეხი. ნამესტნიკმა დეპუტაციას შემდეგი სიტყვა უთხრა: „მომისმინეთ გულდასმით. გორის მაზრის ზოგიერთ ადგილებში გლეხებმა მემამულეთა წინააღმდეგ უკანონობა ჩაიდინეს, რომელთა ქონებასაც სძარცვავდნენ და ითვისებდნენ. ასეთი საქციელი აკრძალულია კანონით და დამნაშავე სასტიკად დაისჯება. ხელმწიფის ბრძანებით, ყოველივე ზარალი, რომელიც კერძო მესაკუთრეებს მოუვიდათ არეულობების დროს, გამოერთმევათ გლეხებს. მე მაცნობეს გლეხთა სურვილი, აგრეთვე საჭიროებანი; აქედან ბევრი რამ ყურადღების ღირსია, და მე ყოველ ღონეს ვიხმარ ამ შუამდგომლობათა დასაკმაყოფილებლად. ამასთან ყოველთვის მოვიწვევ არჩეულ კაცებს და მოვისმენ იმათ აზრს. ზოგიერთ გლეხს ცოტა მიწა აქვს. ამ მხრივ, რამდენადაც შეიძლება, დავეხმარები გლეხებს; თავისუფალი სახაზინო მიწები შეღავათიანის პირობით საიჯაროდ მიეცემათ გლეხებს, ამას გარდა, თუ ზოგიერთი მესაკუთრენი მოისურვებენ თავიანთ მიწების გაყიდვას, გლეხებს საგლეხო ბანკის დახმარებით შეუძლიათ შეიძინონ ეს ადგილები. წადით და გადაეცით გლეხებს ჩემი სიტყვები. უთხარით, რომ ვიწვევ მათ მშვიდობიანად იყვნენ. იცოდნენ გლეხებმა, რომ ყოველივე კანონიერი თხოვნა აღსრულებული იქნება. მე ვასრულებ ბრძანებას ხელმწიფისას, რომელიც მუდამ ზრუნავს გლეხთა კეთილდღეობისათვის. მე ველოდი, რომ თვითონ გლეხები დაწყნარდებოდნენ და შეუდგებოდნენ მშვიდობიანს შრომას, მაგრამ მოძრაობა და უკანონო მოქმედება დღესაც არის. წადით და ჩემის სახელით გადაეცით გლეხებს ის, რაც აქ გაიგონეთ“.

✦ ამბობენ, **ექსარხოსის კანცელარიის გამგე ტრელინი,** რომელიც ექსარხოსს გაჰყვა პეტერბურგს, რუსეთში გადაჰყავთო.

✦ ხუთ ამ თვეს, **ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნიდან სოფელში წაასვენეს** იმ საცოდავ მუშის გვამი, რომელიც ოთხ ამ თვეს ლაღუმმა იმსხვერპლა. უდროვოდ სიცოცხლეს მოწყვეტილ განსვენებულის გვამს ღირსეული პატივი სცეს როგორც კანტორის ადმინისტრაციამ, ისე მისმა თანამოძმე-მუშებმა, განურჩევლათ ეროვნებისა. მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და ადმინისტრაციასთან ერთად მადნიდან ტყიბულის რკინის გზის სადგურამდის გაჰყვნენ. ბაზრის თავში პროცესიას შემოეგებნენ ტყიბულის მოვაჭრენი, რომელთაც მიცვალებულის პატივსაცემად დუქნები ერთიანად დაეკეტათ. საგურზე ერთმა კანტორის მოსამსახურეთაგანმა გამოსათხოვარ სიტყვაში, თუმცა მოკლედ, მაგრამ იმდენად გრძნობიერად დაასურათა მუშის საერთო სულის კვეთება, რომ ყველა დამსწრეთაგანი აატირა. მიცვალებულის კუბოს მუშებისგან მიტანილი ორი გვირგვინი ამკობდა.

✦ **ერევნის გუბერნიისათვის შემდეგი სავალდებულო დადგენილებანია გამოცხადებული:** არავის არა აქვს ნება მთავრობის ნება-დაურთველად იქონიოს იარაღი. თუ აღმოაჩნდება ვისმე, იარაღი წაერთმევა და თვითონაც ადმინისტრატიულის წესით დაისჯება. არავის არა აქვს ნება აგრეთვე ივაჭროს იარაღით და საიარაღო მასალით. დამნაშავენი დაისჯებიან ან 3 თვემდე ციხეში დაპატიმრებით, ან 3,000 მანათამდე ჯარიმის გადახდით; ის პირები, ვინც სხვას მუშაობასა და ვაჭრობაზე ძალით ხელს აღებინებენ, განადგურებულ სოფლების მცხოვრებთ ჩააგონებენ სახლებში არ დაბრუნდნენ და მიწის მუშაობას ხელი არ მიჰყონ, დაისჯებიან ან 3 თვემდე ციხეში დაპატიმრებით, ან 3,000 მანათამდე ჯარიმის გადახდით. აკრძალულია ხალხის ერთად თავის მოყრა ქუჩებსა, მოედნებსა და ბაღებში. პოლიციის პირველისავე მთხოვნელებით შეკრებილნი უნდა დაიშალნენ. ვინც წინააღმდეგობას გასწევს, სასტიკად დაისჯება; სახლისა და სასტუმროების პატრონნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გამოაცხადონ პოლიციაში ჩამოსულ პირების ვინაობა, მათს სახლებში მომხდარი ყოველი ამბავი და საეჭვო პირთა ერთად თავის მოყრა. თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ სახლებში არავინ გამართოს საიდუმლო სტამბა და სხვა. ვინც ყველა ამას პოლიციას დროზე არ შეატყობინებს, დასჯილ იქმნება ისევე, როგორც ზემოხსენებული პირები.

✦ ნამესტნიკის-მიერ დანიშნული **თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე კახეთში 10 ივლისს გაემგზავრება.** ყველა მაზრებს 12 დღის განმავლობაში დაივლის.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა დანიშნა **განსაკუთრებული კომისია ბაქოს ამბების სარევიზიოდ.** კომისია თავის საქმეს ენკენისთვიდან შეუდგება.

✦ როგორც „მშაკის“ კორესპონდენტი ქალ. განჯიდან იწერება, **ყაჩაღი თათარი დალი-ალაი** თავის ამხანაგებით სოფელ-სოფელ დადის და სომხებსა და მაჰმადიანთა შორის **ერთობას ჰქადაგებსო.**

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს გენერალ **მალამას ტფილისში დღეს მოელიან.**

✦ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ უკვე დაჰბეჭდა პროექტი ინჟ. მეცისა წალკის წყაროებიდან **წყლისაყვანის გამართვის შესახებ.** ამ თვის 20-ს კი კომისია მიემგზავრება ამ წყაროების დასათვალიერებლად.

✦ სადგურ ჩაქვაზე დაუჭრიათ კონდუქტორი მეშკინინი.

✦ **გუშინ დაასაფლავეს** უკანასკნელ გაფიცვის დროს მოკლული უბნის ზედამხედველი ილინი. დასაფლავებას მხოლოდ ტფილისის პოლიციის ბოქაულები, უბნის ზედამხედველები, პოლიციელები და მეეზოვეები დაესწრნენ.

✦ **როგორც სადგურ ჩაქვიდან გვატყობინებენ,** 7 ივლისს 3 შეიარაღებული ლეკი თავს დასხმია ოჟანეზოვის სავაჭრო სადგომს; დაუჭრიათ ყარაული ოვაქოვი, წაუღიათ რაც რომ ფული ყოფილა, და მიმალულან.

✦ ქ. გორში ვიღაცეებს **ცეცხლი წაუკიდებიათ** ლაზარე ტურიაშვილის სახლისათვის, ცეცხლი გადასულა მარიამ დავრიშვილის და წყალობ ნინოშვილის სახლზე და სულ გადამწვარა. ცეცხლი გამოწვეულ ჯარსა და ცეცხლის მქრობელ რაზმს ძლივ ჩაუქრია. ზარალი 46,200 მანათისაა.

✦ სადგურ ხაშურიდან გვატყობინებენ: როცა მატარებელი № 1 ტფილისიდან სადგურს უახლოვდებოდა, **უცნობმა პირებმა ორთავ მხრიდან თოფის სროლა აუტეხეს** და მიიმალნენ.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული“-ს მე-8 ნომერი (მოზრდილთათვის). შინაარსი;—1. ლულუ, თარგმანი დ—ისა.—2, როგორ გაჩნდნენ ხოხობები, ზღაპარი თ. რაზიკაშვილისა.—3. შენდობა, რუსულიდან ნ. ლომაურისა.—4. საბავშვო თეატრი, ლ. ბოცვაძისა.—5. ყვავილთა შორის, რუსულიდან გადმოკეთებული, ლ. ბოცვაძისა,—6. საქართველო არაბთა მფლობელობის დროს, დ. კარიჭაშვილისა.—7. უძველესი ადამიანი, რაზოგადის წიგნიდან.—8. ნარევი: ბავშვების ახალშენი.—9. სახალისო სამუშაო და გასართობი: ა) ლექსი ტუსაღისა, ბ) ანდაზები, გ) მარცვლების ამოცანა, დ) ამოცანა-გამოცანა, ე) რებუსი, ვ) ახსნა.—10. განცხადება.—11. დამატება: ზოოლოგია პოლ ბერისა, თარგ. პ. სურგულაძისა.

✦ ქალაქის გამგეობამ პარიზიდან ცნობა მიიღო, რომ **ტფილისის ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო** ასიათასი ცალი ასფალტი—ქვის ნაჭრები უკვე გამოუგზავნიათ და ტფილისში მთელ პარტიას ამ თვის 30-ს მიიღებენო.

✦ ხუთშაბათს, 7 ივლისს, სადგურ **მცხეთასა და ავჭალას შუა** ნახეს გვამი მოკლულის მუშის ივანე მჭედლიშვილისა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

„ნოვ“-ს ატყობინებენ, რომ ივლისის პირველ რიცხვებში **მოსკოვში** უმაღლესი პირები აღარ შეიყრებიან. სადღესასწაულო მზადება შესწყვიტეს.

✦ **ცილისწამება.** „სლ.“ იტყობინება, რომ ცნობილი მწერალი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო სტატს-სეკრეტარმა ბეზობრაზოვმა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრის, პლევეს, შვილმა **ცილისწამებისთვის პასუხის-გებაში მისცეს.** პლევეს შვილი ამტყუნებს ნემიროვიჩ-დანჩენკოს იმ წერილის ძალით, რომელიც „რუს. სლ.“ იყო მოთავსებული „ბრმა ომი“-ს სათაურით.

✦ **შეურაცხყოფილი თავ-მოყვარეობა!** კიევის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა და ადგილობრივ წითელის ჯვრის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა სუხომლინოვმა „სინ ოტეჩ.“ რედაქტორი ს. პ. იურიცინი და ამავე გაზეთის თანამშრომელი ა. ა. იაბლონსკი პასუხის-გებაში მისცეს. ა. ა. იაბლონსკიმ თავის წერილებში გამოამჟღავნა ათას-გვარი ბოროტ-მოქმედება, რომელიც, თურმე, წითელი ჯვრის კომიტეტში ხდებოდა (ნ. ჟ.).

✦ **ლოძში დაღუპულთა რიცხვი.** როგორც უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, ლოძში მომხდარ ამბების დროს 5 ივნისიდან 12 ივნისამდე სულ მოკლული ყოფილა 151 კაცი და **დაჭრილი—185** (ნ. ჟ.).

✦ პსკოვის რკინის გზის მოსამსახურეებმა განაცხადეს: პირველ ივლისიდან **წითელის ჯვრის სასარგებლოდ კაპეიკს აღარ გადავიხდითო** (ნ.).

✦ **მოსკოველი ექიმები** თავის კორპორატიულ ინტერესების დასაცველად შეკავშირდნენ (ნ. ჟ.).

✦ **როგორ ჰხვდებიან მანჯურიის გმირებს რუსეთში?** ამის პასუხს იძლევა ,,პრიდ. კრ.‘‘: მატარებელს აუარებელი დასახიჩრებული მეომარი მოჰყავს. გამხდარნი, გაფითრებულნი, როგორც თვით სიკვდილი, შეუმჩნევლად იჩრევიან რკინის გზის სადგურზე. უხელონი, უფეხონი დაწრწიან უფროსის სადგომში და უკანასკნელად ისმენენ მის ,,ზდოროვო, ბრატცი‘‘-ს. ერთი ამ დასახიჩრებულთაგანი მიდის უფროსთან და ეუბნება, რომ მას სადგურიდან 80 ვერსტი გზა აქვს გასავლელი და მას, როგორც კოჭლს, არ შეუძლიან ამოდენა გზის ფეხით გავლა. მაგრამ უფროსი ცივს უარს ეუბნება. ,,იხტუნე, დასახიჩრებულო გმირო, 80 ვერსტი ცალ ფეხზე, ბარემ ბოლომდის გმირად დარჩიო‘‘ დასძენს გაზეთი.

✦ თავად ე. ე. უხტომსკის მინდობილობით, ნაფიცი ვექილი ბ. ფ. კუტილოვსკი **ცილისწამებისთვის პასუხის გებაში აძლევს** ,,ნოვოე ვრემია‘‘-ს რედაქტორს, ბ-ნ სუვორინს (ნ. ჟ.).

✦ ,,ვარშ. დნევ.‘‘ იტყობინება, რომ **ქალაქის განაპირა მცხოვრებლები გაიფიცნენ** და თავის სახლის პატრონებს გამოუცხადეს: უსათუოდ უნდა 20% დაგვიკლოთო. სახლის პატრონები დათანხმებულან (ნ. დ.).

✦ ,,სლოვო‘‘ იტყობინება, გოფმეისტერი **ა. გ. ბულიგინი** ივლისის დამლევს შინაგან საქმეთა **მინისტრობაზე ხელს იღებსო.** მის ალაგს, როგორც ამბიბენ, გრაფს ა. პ. იგნატიევს დანიშნავენო.

ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐ

ყველაფერი კარგია, რაც არის სამართლიანი. მაგრამ თურმე მამაკაცის სამართლიანობა სხვა ყოფილა და დედაკაცის სამართლიანობაც კიდევ სხვა, ე. ი. სამართლიანობაც ცალმხრივი ყოფილა. ახლაც, როდესაც რუსეთში დიადი საისტორიო ხანა დაიწყო, მამაკაცებს ვერ შესწევთ საკმარისი ზნეობრივი ძალა იმისთვის, რომ მოიშორონ საუკუნოების უსამართლობა, თავის საკუთარ, მამაკაცების, ეგოისტობას ჩამოშორდნენ და ქალებს მიანიჭონ ადამიანის უფლება სრულად.

უმაღლესმა სამართლიანობამ გამონაკლი არ იცის,—იგი ჭეშმარიტება არის და უმაღლეს ჭეშმარიტების წარმომადგენლებს არ ეკადრებათ შუა გზაზე გაჩერება, კუდმოკვეცილ უფლებების მოთხოვნა; უმაღლესმა სამართლიანობამაც არ იცის ეროვნული, წოდებრივი, ან სქესებრივი სხვადასხვაობა,—ამ სამართლიანობისთვის ყველა ერთია, ყველა—„ადამიანი“.

განა ქალი ადამიანი არ არის, რომ საერო ადამიანის უფლებებიც არ ჰქონდეს მინიჭებული მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა სქესს ეკუთვნის?

ყველა ის ვითომდა მოსაზრება, რომელიც მოყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ ქალმა არ უნდა მოითხოვოს ადამიანის უფლებები,—მამაკაცების ეგოისტურ აზროვნების გამომხატველია. და, აი, როდესაც უმაღლესი სამართლიანობა ცხოვრებაში შემოდის, უნდათ ის ცრუ მოსაზრება გააბატონონ განახლებულ სახელმწიფოში.

ქალი ათასწლობით იტანდა მამაკაცებით ცალმხრივ უსამართლობას; ქალმა თავის თავზე გადაიტანა ყოველგვარი მონობა, ქალი ახლაც ყოველგვარ სატანჯველს იტანს და ხედავს მის ადამიანურ ღირსების დამცირებასაც. თავისუფალ სიყვარულისთვის სიკვდილით სჯიდნენ, ღალატისათვის ქვით ჰქოლავდნენ; მის გარდაცვალებულ მბრძანებელთან ერთად საფლავში ცოცხლად აგდებდნენ, მას ყიდდნენ, როგორც კერძო საკუთრებას, უსულო ნივთივით სცვლიდნენ; ქალი მემკვიდრეობით გადადიოდა ერთიდან მეორეზე, ქალს სტუმრებს აძლევდნენ სასიამოვნოდ, ქალის ძალღივით გარედ აგდებდნენ, როდესაც ბატონი მოისურვებდა. ქმარს უფლება ჰქონდა პირი აეკრა ცოლისთვის. ლიუტერი აცხადებდა, ქალი კაცისთვის გაჩენილი არისო; ვირტენბერგის პროტესტანტები სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქალი ადამიანი არ არის.

ქალი იმ თავითვე ვნებათა ღელვის მონა იყო, უთუოდ მამაკაცის გუნების მსხვერპლი. თანამედროვე განათლებულ კაცობრიობაში ქალების დაკანონებული და უკანონო მონობა—მის ადამიანურ ღირსების დამამცირებელი იყო ყოველთვის.

არა, ამ უკანონობის დაკანონება არ ვარგა! არ ვარგა უსამართლობის დაკანონება!—ქალს მისი ადამიანური უფლებები უნდა მიენიჭოს.

ნურავის ეშინია იმისი, რომ ამ გათანასწორებით ვითომც ოჯახის ზნეობიანობა შელახული იქმნება,—პირიქით, მაშინ უფრო მტკიცე შეიქმნება ცოლ-ქმრობის კავშირი.

ქალი, რომელიც თავის ადამიანურ ღირსებას შეიგნებს, ზნეობრივად ამაღლდება; იგრძნობს, რომ იგიც სახელმწიფოს და საზოგადოების თანასწორი წევრია და ეკონომიურადაც განთავისუფლდება.

განა არ კმარა თვალთმაქცობა და ლაპარაკი, ვითომც ქალი პოლიტიკურად ჯერ საკმარისად განვითარებული არ იყოს? პოლიტიკურად ნამდვილად განვითარებული მამაკაციც არ არის ბევრი და, ამას გარდა, თვით ამ განვითარების მიღება შეიძლება მაშინ, როდესაც თავისუფალი საპოლიტიკო ცხოვრება შემოვა.

დრო არის მამაკაცებმა გამოაცხადონ, რომ ქალი მათი თანასწორი არსება არის; დრო არის ქალი მონად არ იყოს და ნამდვილ თავისუფალ მოქალაქედ ითვლებოდეს სახელმწიფოში.

ყველა სწორია, სქესის, ეროვნებისა და წოდების მიუხედავად.

ვინც თავის საკუთარ კანონიერ უფლებას იცავს, არ უნდა დაივიწყოს, რომ ქალებსაც აქვთ ასეთივე უფლება და მათის უფლებების განხორციელება საზოგადოებრივ განვითარებისთვის საჭირო არის. ქალების უფლებებიც ადამიანის უფლებებია და, ქალებს თუ არ მიენიჭათ საპოლიტიკო უფლება, ამით საზოგადოების ერთი ნახევარი საზოგადო ცხოვრებიდან გამოთიშული დარჩება. თავისუფლებისა და თანასწორობის საქმე ამითი ვერ გაიმარჯვებს (ს. ო.).

ეკატ. ტროფიმენკო.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ

შესახებ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიურ რჩევის მოხსენებისა სააზნაურო სკოლის რეორგანიზიასა ანუ გადაკეთებაზე *).

გამგე კომიტეტმა განიხილა სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგიური რჩევის მოხსენება სკოლის გადაკეთების შესახებ და დაადგინა:

1. ის ზომები, რომელიც მოყვანილია მოხსენების სასწავლო ნაწილში და ეხება სწავლის საქმის გაუმჯობესობას, როგორც, მაგალითებრ: გრამატიკის შესწავლას წინ უნდა უძღოდეს განმარტებითი კითხვა, მასწავლებლებმა უნდა შეაჩვიონ მოსწავლენი თავიდანვე კლასის გარეშე წიგნების კითხვას, მასწავლებლები უნდა ესწრებოდნენ ერთმანეთის გაკვეთილებს, პედაგოგიური რჩევის სხდომებზე კითხულობდნენ რეფერატებს ამა თუ იმ საპედაგოგიო საგნის შესახებ, ყველა ამის და ამგვარი ზომის ხმარება, რაც კი შეეწევა სწავლის საქმის წარმატებას, მოსაწონია და სავალდებულოდაც არის მიღებული ყველგან, სადაც სასწავლებლებს და სკოლის გამგეთ სურთ, რომ სკოლა ასრულებდეს თავის დანიშნულებას.

სავალდებულო სასწავლო საგნებად შემოღება ფილოსოფიის, პსიხოლოგიის, კანონმდებლობის, პოლიტიკურ ეკონომიის, სტატისტიკის და სხვა საჭირო მეცნიერებისა, აგრეთვე ლათინურ ენის დაწყება მეხუთე კლასიდან,—ყველა ეს მოითხოვს დიდ სჯას და ამის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შედგება ყველა სავალდებულო სამოსწავლო საგნების განაწილება კლასებში, რადგანაც უამისოთაც საშუალო სკოლა დატვირთულია მრავალ საგნებით და დღიური დრო ვერც კი ყოფნის ამჟამად მიღებულ სავალდებულო საგნებს.

მოხსენების მეორე ნაწილის მიღება კი შეუძლებელია. ეს მეორე ნაწილი ეხება სამს მთავარს საგანს: 1. მასწავლებლებს, 2. პედაგოგიური რჩევის უფლებას და 3. პანსიონს.

1. პედაგოგიურ რჩევის აზრით, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კვირაში 18 გაკვეთილი, დღეში 3 გაკვეთილი ანუ საათი, ამ შრომაში უნდა ეძლეოდეს მას თითო გაკვეთილში 150 მან., წელიწადში 18 გაკვეთილში 2,700 მან.; პენსიად უნდა ეძლეოდეს: 15 წლის სამსახურისთვის 1,200 მან. 10 წლისათვის 800 მან. ეს ჯამაგირი და პენსია უნდა ჰქონდეს თანაბრად როგორც გიმნაზიურ კლასების მასწავლებელს, ისე მოსამზადებელ კლასებისას. ამოდენა ჯამაგირისა და პენსიის მიცემა ისიც 3 საათის შრომისთვის დღეში, 15 და 10 წლის სამსახურისთვის შეუძლებელია, რადგანაც საზოგადოებას არა აქვს დაუშრეტელი წყარო და გამოულეველი მადანი, რომ შეეძლოს ამოდენა არა-ჩვეულებრივის ხარჯის გადახდა. ამას გარდა, დიდი უსამართლობა იქნება, რომ გიმნაზიურ კლასის მასწავლებელს, რომელსაც 16 წელიწადი თითქმის მოუნდომებია სწავლის შეძენისათვის, და მოსამზადებელ კლასის მასწავლებელს, რომელსაც უსწავლია სულ შვიდი-რვა წელიწადი, თანაბარი ჯამაგირი ჰქონდეთ. რაც შეეხება ქალების მოწვევას მასწავლებლებად და მასწავლებლისა და აღმზრდელის თანამდებობის შეერთებას ერთად—არც პირველი და არც მეორე ახალი წესი არ იქმნება სათავად-აზნაურო სკოლისთვის. სკოლაში იყო შემოღებული ეგ წესი, მაგრამ იმ დროსათვის ვერ გამოდგა სასარგებლოდ და გამგე კომიტეტმა გააუქმა. შეიძლება, ეხლა გამოდგეს და ამისათვის გამგე კომიტეტი იქონიებს ამაზე სჯას.

ამ ნაწილსავე ეკუთვნის სურვილი პედაგოგიურ რჩევისა, რომ მასწავლებლებმა გამართონ ხოლმე საუბარი მშობლებთან პედაგოგიურ საგნების შესახებ. ეს კარგი ზომაა, მხოლოდ არ შეიძლება არ ვიკითხოთ, მერე ვინ უშლიდათ, რომ აქამდინაც არ ხმარობდნენ იგინი მაგ ზომას. თუ კი სხვა სასწავლებლებში ხერხდებოდა ეგ ზომა, რატომ ჩვენს სკოლაში არ მოხერხდებოდა აქამდინაც.

პედაგოგიურის რჩევის აზრით, სკოლას სავსებით უნდა განაგებდეს პედაგოგიური რჩევა და ეს არაფერზე არ უნდა იყვეს დამოკიდებული. ეს უნდა ირჩევდეს სკოლის გამგეს სამის წლობით და ჰქონდეს უფლება ვადაზედაც გადააყენოს; უნდა ირჩევდეს და ითხოვდეს მასწავლებლებს; უნდა განაგებდეს სკოლას სწავლისა და ოჯახობის მხრით სრულიად თავისუფლად და წლის ბოლოს წარუდგინოს ხოლმე ანგარიში საზოგადო კრებას, რომელიც ან კმაყოფილი დარჩება პედაგოგიური რჩევისა ან არა უკანასკნელ შემთხვევაში მასწავლებლები გამოდიან სამსახურიდან. მერე ახალ მასწავლებლებს ვინ მოიწვევს, არა სჩანს მოხსენებაში. პედაგოგიური რჩევის სხდომებს ესწრებიან მშობლები იმ ყმაწვილებისა, რომლების ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს, და ეძლევათ ხმის უფლება. აგრეთვე ესწრებიან პრესის წარმომადგენლები და კომიტეტის წევრებიო. ყველა ამათ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდეთ მინიჭებული... ერთი სიტყვით სკოლის ყველა საქმეს განაგებს პედაგოგიური რჩევა და გამგე კომიტეტს მხოლოდ ეძლევა უფლება კონტროლისა და უფლება, რომ წლის ბოლოს თავის მოსაზრებანი წარუდგინოს ხოლმე საზოგადო კრებას.

ამ ჟამად გამგე კომიტეტისაგან აქვთ გარდაცემული პედაგოგიურ რჩევისა და სკოლის გამგესათვის შემდეგი სრული უფლება: პედაგოგიური რჩევა იღებს ყმაწვილებს სკოლაში მიხედვით წლოვანობისა, ცოდნისა და სადაურობისა და ამტკიცებს გამგე კომიტეტი, გადაჰყავს ყმაწვილები ერთი კლასიდამ მეორე კლასში წარმატების მიხედვით. ჰსჯის სკოლის გამგესა და მასწავლებლისაგან წამოყენებულ პედაგოგიურ საგნებს; არჩევს სამოსწავლო საგნების პროგრამებს, ირჩევს ყმაწვილებისათვის საკითხავს და ხელ სამძღვანელო წიგნებს; ჰსჯის ყოველგვარ ზომებს, რაც კი დაეხმარება სწავლის და აღზრდის წარმატებას; ირჩევს თავის წევრთა შორის საოჯახო კომიტეტის წევრებს. ეს კომიტეტი განაგებს საოჯახო საქმეს სკოლისას და ამასაც აბარია ყოველივე ზრუნვა და უფლება პანსიონის წარმატებისათვის. სკოლის გამგე თავმჯდომარეა პედაგოგიურის რჩევისა და საოჯახო კომიტეტისა, რომელიც შეყენებულია დროებით და ამ კომიტეტის მოვალეობას ასრულებს კომიტეტის ორი წევრი, სკოლის გამგე და სკოლის ეკონომი. ყოველივე მოვალეობა და უფლება პედაგოგიურის რჩევის და საოჯახო კომიტეტისა ნაჩვენებია ინსტრუქციებში. სკოლის გამგეს, როგორც პასუხისმგებელს კომიტეტის წინაშე, უფლება აქვს მოიწვიოს მასწავლებელი, აღმზრდელები და ყველა მოსამსახურე პირნი და წარუდგინოს დასამტკიცებლად კომიტეტს, რომელიც თავის მხრით ჰსთხოვს სამოსწავლო ოლქს გამოაცხადოს თანხმობა ამ პირის, თუ იმ პირის დანიშვნისა. აგრეთვე უფლება აქვს გამგეს წარმოუდგინოს გამგე კომიტეტს დათხოვნა ყველა მოსამსახურე პირისა, რომელიც სასარგებლო არ არის სკოლისათვის. სკოლის გამგე ყოველსავე დადგენილებას პედაგოგიურის რჩევისას და საოჯახო კომიტეტისას წარუდგენს გამგე კომიტეტს. ზოგს ცნობაში მისაღებად, ზოგს დასამტკიცებლად მის მიხედვით, თუ რას ეხება პედაგოგიურის რჩევის და საოჯახო კომიტეტის დადგენილება. ყველა ის დადგენილებანი, რომელნიც ეხებიან ყმაწვილების გამორიცხვას სწავლის შეყენებას არა ჩვეულებრივ დროს, ხარჯის მოხდენას, რომელიც არ არის ნაჩვენები სავარაუდო ხარჯში—ყველა სამძიმო საქმეს სკოლის ცხოვრებაში უნდა დაამტკიცებს გამგე კომიტეტმა. ყოველი მიწერ-მოწერა მთავრობასთან სკოლის შესახებ აქვს გამგე კომიტეტს და ეს არის მასთან პასუხის მგებელიც. ყველა საჭირო უფლებანი, რომ სკოლის საქმე კარგად წავიდეს, მიცემული აქვთ პედაგოგიურ რჩევასა და სკოლის გამგეს. იმაზე მეტი უფლების მიცემა, რაც პე-

---

*) ვბეჭდავთ დედნის მართლწერის შეუცვლელად.
რედ.

დაგოგიურის რჩევის და სკოლის გამგის ხელთ არის, და შეზღუდვა კომიტეტისა და საზოგადოების უფლებათა იმდენადაც, რამოდენათაც პედაგოგიურის რჩევის მოხსენებაშია, გამგე კომიტეტს მიაჩნია შეუძლებლად შემდეგის მოსაზრებით:

1, მოხსენებაში ნაჩვენები შეზღუდვა საზოგადოების და მისგან ამორჩეულ კომიტეტის უფლებათა არღვევს სრულიად საზოგადოების წესდებას, რომელიც უფლებას აძლევს გამგე კომიტეტს—მაშასადამე, საზოგადოებას, განაგოს საზოგადოების სკოლები, დანიშნოს მასწავლებლები და პასუხისმგებელი იყვეს მთავრობის წინაშე სკოლების წარმოებაში;

2, ეწინააღმდეგება საზოგადოების სარგებლობას. ამ ჩვენს იშვიათ დროს ყველა ერობა, ყველა ქალაქი, ყველა საზოგადოება ცდილობს და შუამდგომლობას გზავნის სამინისტროში, რომ იმ სკოლებს, რომლებსაც ერობა, ქალაქი, კერძო საზოგადოება ინახავს თავისი ხარჯით, განაგებდეს იგი როგორც საოჯახოს მხრით, ისე სწავლის მხრით. ჩვენს საზოგადოებასა აქვს ეს უფლება თავისი წესდებით და ჩვენი სკოლის პედაგოგიური რჩევა კი ეუბნება საზოგადოებას, მაგ უფლებას თავი დაანებეო და ჩვენ გადმოგვეციო.

3, შეზღუდვა გამგე კომიტეტის უფლებათა ჩააყენებს სკოლას სახიფათო გარემოებაში. პედაგოგიურის რჩევის მოხსენებაში სწერია, რომ პედაგოგიურმა რჩევამ უნდა ამოირჩიოს და დაითხოვოს სკოლის გამგეც და მასწავლებლებიცო. მაშასადამე, თვით პედაგოგიურმა რჩევამ უნდა წარუდგინოს იგინი სამოსწავლო მთავრობას დასამტკიცებლად; გამგე კომიტეტს ხომ არ წარუდგენს სხვის დანიშნულ კაცს. მაშინ მოხდება ის, რაც სასურველი არავისთვის არ არის. საზოგადოების გავლენა შემცირდება და სხვა გაძლიერდება. ეს აზრი ყველასათვის ცხადია, ვინც კი საქმეში ჩახედულია.

ბოლოს პედაგოგიური რჩევა თავის მოხსენებაში სრულიად აუქმებს სკოლის პანსიონს. ჩვენ სოფლად ვცხოვრობთ და, თუ ვისთვისმე საჭიროა პანსიონი, სწორეთ ქართველ მოსწავლეთათვის. საზოგადოების წევრთ მოეხსენებათ, თუ რა მდგომარეობაში და პირობებში არიან გარედან მოსიარულე მოსწავლენი და ამ გარემოებათა მიხედვით გამგე კომიტეტი ვერ ხედავს შესაძლოდ დაეთანხმოს პედაგოგიურ რჩევას, რომ გაუქმებულ იქმნას სააზნაურო სკოლის პანსიონი. თუ პანსიონი ვერ მიდის კარგად, უნდა მივიღოთ ყოველი ღონისძიება მისი გაუმჯობესობისათვის, არა თუ გავაუქმოთ.

გამგე კომიტეტი წარუდგენს ამ დადგენილებას საზოგადო კრებას და მასთანვე მოახსენებს, რომ თუ ვინიცობაა რუსეთის საშუალო სკოლა შეიცვალა და კერძო სასწავლებლების უფლება გაფართოვდა, თვით გამგე კომიტეტი სათავადაზნაურო სკოლის და სხვადასხვა სასწავლებლების მასწავლებლებთან ერთად შეუდგება სკოლის გამოცვლას ახალ გარემოებათა მიხედვით.

გამგე კომიტეტის თავმჯდომარე მ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.

წევრნი ივ. უთნელიშვილი, ნ. ცხვედაძე.

ამ დადგენილებაში მე მონაწილეობას არ ვიღებ. კომიტეტის წევრი ს. ვირსალაძე, თ-დი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

შეცდომის გასწორება გუშინდელ ნომერში „წერილი რედაქციის მიმართ“ ხელმოწერილია თ-დის გიორგი ვასილის ძის მაჩაბლისაგან. ეს კორექტურული შეცდომაა—უნდა ყოფილიყო: თ-დი ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი.

თეატრი და ხელოვნება

ქ. გორი. ტფილისში არსებობს თურმე, ეგრედ წოდებული, გიორგი მჭედლიშვილის დრამატიული ტრუპპა, რომელმაც მოინდომა, სხვათა შორის, გორში აჩოსეირნება და თავიანთი ხელოვნებით ქვეყნის გაკვირვება. საინტერესოა, საიდგან მოულობს გ. მჭედლიშვილი ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან მიცემულ არტისტობის მოწმობას, რომლითაც იგი ნებართვას იღებს. პირველად, 26 ივნისს, წარმოადგინეს „სამშობლო“. ხალხი ძალიან გულცივად შეხვდა მათ წარმოდგენას, რადგან ის უკვე არის ცნობილი აქ, როგორც უნიჭო—მატყუარა „არტისტი“, და სულ ორი ადამიანი არ დასწრებია. თამაშობდნენ იმისთანა საძაგლად და უხეიროდ, რომ იმათაც არ მოუცადეს წარმოდგენის გათავებას და სახლებში წავიდნენ. მჭედლიშვილის თავხედობამ იქამდე მიაღწია, რომ მეორე კვირისათვის შილლერის „ყაჩაღების“ დადგმა დააპირა. ბილეთები წინადვე დაჰყიდეს მიტყუილებით, რადგან, ვითომ საქველ-მოქმედო მიზნით მართავდნენ წარმოდგენას. ამის გამო ხალხიც საკმაოდ დაესწრო. პირველი მოქმედება გათავდა და ჩამოეშვა ფარდა. ხალხში გაისმა უსიამოვნების ხმა. აიხადა მეორე მოქმედების ფარდა. გამოვიდა „ფრანცი“ თვით მჭედლიშვილი. სცენაზე და ხალხიც მიეგება მას აღტაცებულის... სტვენით. მეორე მოქმედება არც კი გაეთავებინათ, რომ მთელი ხალხი, ამ ცრუ-არტისტების-მიერ წმინდა ხელოვნების უღირსად დამცირებისაგან აღელვებული, სულ ერთიან გარედ გამოვიდა და ფული უკანვე მოსთხოვა. აი, აქ დაამტკიცეს ამ ხელოვნების ცრუ-მოღვაწეებმა თავიანთი ზნედაცემულობა და თავმოყვარეობის სრული უქონლობა. ისინი დაეღრიჯნენ ხალხს, შეეხვეწნენ, რომ ფული არა გვაქვს ტფილისამდე ჩასასვლელი და გვაჩუქეთო. ხალხმა ფული აღარ დაიბრუნა და მჭედლიშვილს თავისი ზიზღი და სიძულვილი გამოუცხადა. ამ კვირია მჭედლიშვილი სურამში არის და იქ მართავს წარმოდგენებს. ნეტავი სურამელებს!

გ. ნამორაძე.

კორესპონდენცია

ქართლი. საფიქრებელი იყო, რომ უცებ ანთებული ცეცხლი ისევე მალე ჩანელდება, მაგრამ ეს ფიქრი ჯერჯერობით არა მართლდება.

ქართველი კაცი ჯერ ადვილად არ გამოჰყვება და არც დაიჯერებს ძნელად დასაჯერებელს, მაგრამ თუ ერთი დაგიჯერათ, მერე ადვილად ვეღარ გადააჯერებთ, მით უმეტეს, თუ მომავალი კარგს რასმე უქადის. ეხლაც ასეა. სოფლიდან თუ გახველ და ერთი-ორი დღე კარში დარჩი, როცა დაბრუნდები, შემოგეხვევა ხალხი და გაფაციცებით გკითხავს მომავლის ამბავს. დარწმუნებულია, რომ უეჭველად ზურგით მოუტანდი სასიამოვნო და იმედიან ამბებსა.

თუ როგორ სწამს ხალხს „ერთობა“ ამას ასურათებს ერთი ამბავი, რასაც მე შევესწარ: გახშმობა გადასული იქნებოდა, როცა ხალხის ყრილობა დაიშალა. შინ მოვდიოდი, ბნელოდა. ჩემს უკან მოშორებით ხალხი მოდიოდა. მე იქით მივდექ, საბძლის კედელს მოვეფარე; მინდოდა ხალხს გაევლო.

— გახსოვს, დაო,—ეუბნება ერთი ასე 36 წლის გაჟკაცი მეორეს,—მე და შენ რომ ჩალებში ღამის ხარი გვყვანდა, იმ ღამეს რო სეტყვა მოვიდა და მე ფარაჯაც არა მქონდა. მთელი ღამე სულ კანკალით გავათენე, ისე მციოდა? ახა, ეს ღამე და ის ღამე შეადარე? კმარა, განა, რაც სატანჯველი გამოვიარეთ, რაც გაჭირვება და ნაკლებულება ვითმინეთ? გამცდნენ ბედნიერები, რომ ხვალ უკეთესი დღე გათენდებოდა, რომ ღამის ხარში უფარაჯობით აღარ დასველდებოდნენ და აღარც გაიყინებოდნენ.

მესიამოვნა მეც ამათი წმინდა რწმენა, თუმცა კი ცოტა კიდეც შემშურდა არ უღალატეს ამ რწმენას დღემდე ქართლელებმა. ამას ამტკიცებს ის ამბები, რაც ამ დღეებში მოხდა ახლო-მახლო სოფლებში.

ს. ქსუვისში მოჰკლეს აზნაური ი. უ—შვილი. ამ ოთხის დღის წინად ხსენებულს აზნაურს სოფლიდან მუშა ჰყოლოდა, ზოგი მიწების მუშა, ზოგი ქრთამისა. საღამოთი რომ დაბრუნებულიყო სახლში, ბინდზე, ვიღაცაც თოფი ესროლნა და მოეკლა. ხელათუბნიდან ორმოცი კაზაკი დაიბარეს და ჩაუყენეს სოფელს, უნდა აღმოაჩინოთ მკვლელიო.

რ. ოდეთ.

წერილი რედაქციის მიმართ

რადგან ავადმყოფობის გამო მე ჩემი პასუხი თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა კრებას მივეცი იმ დროს, როდესაც გაფიცვის გამო გაზეთები შესწყდა, და საჭიროა სიმართლის გამორკვევა მაზედ, რაც საზოგადოდ ან ჩვენს სამს წევრზე და უმეტეს ჩემზე ითქვა, გთხოვთ ამ ჩემს დიდათ შემოკლებულს სიტყვას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ანტონ ფურცელაძე.

„ჩემა ავადმყოფობის გამო მე ვერ დავესწარ კრებებს და ამიტომ არც შემეძლო მეთქვა რამ როგორც საერთო სალაპარაკო საქმეზე, აგრეთვე მაზე, რასაც გვწამებდნენ ზოგიერთა ორატორები ჩვენ სამ წევრს მმართველობისას: გრუზინსკის, მამაცაშვილს და მეტადრე მე. აქ წინად განზრახული აზრით მიშლიან ლაპარაკს, უნდათ, სიმართლე არ გამოჩნდეს... საქმე გაამწვავა მან, რომ მრავალი მამული დარჩა ამ ბოლოს ხანებში ბანკს, რომლის გამოც ვითომც დიდი ზარალი მოგვსვლოდეს. მართალია, ბევრი მამული დარჩა, მაგრამ ბევრი მამულიც დაგირავდა. ამ სამს წელიწადს დაგირავდა თითქმის იმდენა ფასის მამული, რაც დაგირავდა წინად ოცდაშვიდი წლის განმავლობაში. მართალია, ამ მამულებში, რომელნიც დარჩნენ ბანკს, არიან ისეთნიც, რომელთაც დაფასება არაფრით არ შეეწონება. მაგრამ არიან ისეთი მამულებიც, რომლებიც დარჩა ბანკს მარტო იმ მიზეზით კი არა, რომ ძვირად იყვნენ დაფასებულნი, არამედ სხვა გარეშე მიზეზების გამოც. ზოგიერთა ორატორთა აზრით ისე გამოდის, ვითომც ეს მილიონის მამული, რაც ბანკს დარჩა, წამოადგენს მილიონის ზარალსაც. ვნახოთ, მართლა ასეა? ბევრი მამული გაყიდეთ, თითქმის სამასი ათას მანათად და თითქმის უზარალოთ. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ვითომც სხვა მამულებს ფასი არა ჰქონდეთ და ისრე გადავურჩით. მაგრამ ყური დაუგდეთ ახლა იმ ზარალს, რომელიც ვითომც ბანკს მოსვლოდეს და რომლისა გამო ასრე მღელვარეთ ლაპარაკობენ აქა. არამც თუ აღებ-მიცემაში და თვით მდაბიო ენაზე იმას ჰქვიან ზარალი, როდესაც თქვენი პასსივი აღემატება აქტივს. წინა ორ წელიწადს რომ თავი დავანებოთ ამ უკანასკნელ საანგარიშო 1904 წ. წმინდა მოგება დარჩა ბანკს 282673 მანათი. ეს განა ზარალია?...

რა უყურადღებოთ ექცევოდნენ რევიზორები მათზე მინდობილს საქმეს, და რაგვარი შეხედულობა აჩინეს მათ ბანკის ოპერაციებზე, აი ზოგიერთა ამისი ნიმუშები. გამომძიებელმა კომისიამ, დანიშნულმა რწმუნებულთა კრებისაგან, ზედამხედველი კომიტეტის რევიზორებმა, მმართველობის წევრებმა გასინჯეს ბანკზე დარჩენილი სახლები. მათგან შემდგარს ქაღალდებზე აშენდა ეს საშინელი აურ-ზაური, რომელსაც იჩენს დღეს კრება. ამათ აქტებს რომ ყური უგდოს კაცმა, მეტი წილი, სახლები კი არა, რაღაცა საჯინიბოებია დაგირავებული და ბანკზე დარჩენილი. მაგრამ კრება რომ კარგათ დაჰკვირვებოდა საქმეს, მშვიდი გულით მოესმინა ყველაფერი, იქნება ბევრში მაინც შეეცვალა აზრი. სარევიზიო კომისიის აქტი ეწინააღმდეგება ზედამხედველი კომიტეტისა და მმართველობის წევრთა აქტებს, ზედამხედველი კომიტეტის რევიზორების აქტი, რევიზიის კომისიის და მმართველობის წევრთა აქტებს, მმართველობის წევრთა აქტი სხვებისას. ერთისა და იმავე მამულისას ერთნი იძახიან ჩინებული, მყვიდრი შენობაა, ნამდვილი სასახლეაო, მეორენი იძახიან, რაღაცა ხუხულაებია, თითო რომა ჰკრა გადაიქცევაო. რისგან მოხდა ესა? მისგან, რომ, ყველა რევიზორმა თავისი თავი აღიარა წარჩინებულ ხუროთმოძღვრათ, დაუწყო შენობების აგებას და სიმყვიდრეს დაფასება, და რაც გონებაში მოუვიდათ, გამოუძიებლათ, აუწონავად ის შეიტანეს თავის აქტებში. შენობების დაფასებაზე უწყეს ერთმანეთს ცილობა, და ქვეყნის თვალში დაცემა. არავინ მათგანმა არ იფიქრა მაზე, რომ ამ კვლევაში წესიერება თხოულობდა გამოეკვლიათ საქმე სპეციალისტების შემწეობით. ეძიებდნენ კომისიები, გამომძიებელნი მიზეზს ბანკზე ამდენა მამულების დარჩენისას, და დავიჯერო, გარდა ძვირად დაფასებისა და კრიზისისა, სხვა მიზეზები ვერ იპოვნეს? ნუ თუ არ არიან იგინი? გახლავან და იქნება ერთი თავი მიზეზთაგანი ისინიც არიან, მაგრამ მეძიებელთა ვერ იძიეს იგინი.

არამც თუ არ გამოიძიეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მამულების დარჩენის, ისიც კი გამოეპარათ, რაც, სხვებს რომ გამოჰპარვოდათ, ზედამხედველი კომიტეტის წევრ რევიზორებს მაინც უნდა სცოდნოდათ. ავიღოთ თუნდა სახლი ცაპინისა, რომელიც იმოდენა საუგუნოდ გახადეს. ეს მამული არის გასინჯული და დაფასებული კომისიის ხუთი წევრისაგან. ეხლაც, ჩვენს გამოუცდელს და შეუჩვეველს ხელშიც კი მეტს იძლევა შემოსავალს, ვიდრე სახლში გასავალი აქვს ბანკს. რად დარჩა ცაპინის მამული ბანკს?—ცაპინს, შემდგომ მისა, როდესაც იმან დაგვიგირავა ჩვენ ის მამული, ნადირიძის ცოლმა ადგილზე დავა გამოუცხადა და მოუგო კიდეც. გიჟი იყო ცაპინი, რომ ამას იქით კიდევ გაეშვა ეს მამული თავის ხელში?..

მაგრამ ამგვარები, შედარებით სხვასთან, დიდი არაფერია. საქმე მათი შეხედულობაა ბანკის ოპერაციებზე და დასკვნა საქმისა. კრების რევიზორები და ზედამხედველ კომიტეტის რევიზორები ერთხმივ დაადგნენ ამ აზრზე. რა აზრზე, როგორ გგონიათ, ბატონებო? ამ აზრზედ, რომ ბანკმა არ უნდა დაიგირავოს თიხით აგებული სახლი, სახლი, რომელსაც ხის კიბეები აქვს, სახლი, რომელსაც სამზარეულო ბალკონებზედა აქვს, სახლი, რომელსაც ეზო არა აქვს, სახლი, რომელშიაც ღარიბნი სცხოვრობენ. როგორა გგონიათ, რომ იმათს ჭკუას ავყოლოდით, ბევრი მამული გვექნებოდა გირაოთ? ორმოცი მილიონი მამულის მაგივრად ხუთი მილიონის და აქედან ოთხი მილიონისაც სოფლის მამული იქნებოდა. მაშინ შეეძლო ბანკს შენახვა სასწავლებლისა, სადაც ათასს უმაწვილზე მეტი იზრდება ბანკის ფულით? გვექნებოდა ეს დიდებული სასწავლებლის შენობა და სხვა ამისთანები?

აი რა ღრმა შეხედულობა იჩინეს ჩვენთა გამომძიებელთა. ამას ჩასჭიდეს ხელი ჩვენთა ერთს რიგს გზაზედ დამდგართ ორატორთა და მარცხნივ, თუ მარჯვნივ ისროლეს ტალახი...

გადავავლოთ თვალი, ოპოზიცია რაში ჰპოვებდა საქმის ნაკლს. ნაკლს ჰხედავდა იმ რეჟიმში, რომელმაც დაიბუდა ბანკის მმართველს ორგანოებში, უმეტეს მაში, რომ მმართველობა არა ჰსინჯავდა არასოდეს იმ მამულებს, რასაც იგირავებდა და ბრმათ ამტკიცებდა ან უგდებდა დამფ. კომისიის დაფასებას. მათი აზრით ხიფათი სწორედ ამას მოჰყვა. დამფასებლები იწყენებოდნენ მას, რაც არ იყო დაგირავებული მამულებში, აფასებდნენ უზომოდ დიდს ფასებში. სარევიზიო კომისია, გულ-წრფელი ოპოზიცია ამაზე აჩვენებდნენ. მაგრამ გამოჩნდნენ ორატორები, რომელთათვის საქმე ბანკის სიკეთესთან კი არა, თავის გულის ტკივილისანა ჰქონდათ. ამათ გადაიტანეს ბრძოლა კერძო საქმეზე და კერძო პირებზე. საერთო საქმე მოჰშვინეს შურით. ამგვარ ორატორთგანმა, თავადმა აფხაზმა მიიტანა იერიში სამს მმართველობის წევრზედ,—გრუზინსკისა, მამაცაშვილსა და ჩემზედ, რომელთაც გადავეწყვიტეთ ბაბაევის სახლებზე [illegible] თარხნიშვილმა... ამან ამ სამს მმართველობის წევრებში გამოამარჩია მე, აქ რეჟიმიც, უჯეროდ დაფასებებიც, კანცელარიის უწესობაც, ყველა, ყველა რაც გულწრფელ ოპოზიციას ჰქონდა სახეში, თარხნიშვილმა ჩააფუჩჩა... გამოდგა, რომ ყოვლის მიზეზი მე ვყოფილვარ, მთელი ბანკი ჩემს ხელთა ყოფილა და ჩემგნით დაღუპულა მით რომ... ბაბაევის სახლი დაიგირავეს, და ბაბაევის სახლის დაგირავების მიზეზი მე ვყოფილვარ, მილიონების ზარალიდან ჩამოვიდნენ ბაბაევის სახლის ზარალზე, რომელიც როგორც ქვემოთ ვნახავთ, არამც თუ ზარალს, მოგებასაც გვაძლევს. ზარალად სწორეთ მოგებიანი სახლი უჩვენეს საზოგადოებას...

მე მოგახსენეთ რომ მე ვიწვევდი საპატიოსნო სამართალში მოწინააღმდეგეთ. კრებამ შეიწყნარა ჩემი თხოვნა, მაგრამ მოახერხეს კრების დადგენის გაუქმება. იყვეს მათი ნება.

იმედი მაქვს აქაც საკმაო საბუთები წარმოვადგინო, რომლებითაც შემეძლება დავარღვიო ის ცილები, რომლებითაც აქ წარმოსდგნენ ზოგი ორატორები.

მე ზემოთ აგიწერეთ, რა მკვლევარებიც აღმოჩნდნენ ჩვენი რევიზორ-მეძიებლები, რომ იქ, სადაც სპეციალისტები იყვნენ საჭირონი, იქ თავის თავზედ კისრულობდნენ ამ ხელობას, რა რიგის ცოდნით აფასებდნენ შენობების სიმყვიდრესა და უვარგისობას. ამ გვარივე ცოდნა და კვლევა იჩინეს ბაბაევის სახლზე დაც.

ბაბაევის პირველ საქმეში, რომელიც ხელთა ჰქონდათ საქმეების მკვლევართა, არის ცნობა, საიდამაცა სჩანს, რომ ქალაქის გამგეობის ტეხნიკი სპეციალისტები თხოულობდნენ, რომ ბაბაევის შენობაში უნდა ზოგი რამ ალაგები შესწორებულიყვნენ. მეორე საქმეში არის მოხსენებული დამფასებლებისაგან, რომ შენობა მყვიდრია, გირავნობის ვადას დიას აიტანსო. აქ ამგვარი გადაწყვეტილი თქმის შემდეგ, გამომძიებელნი ან უნდა ჰრწმუნებოდნენ ჩვენს დამფასებლებს, ან უნდა სპეციალისტებისთვის შეემოწმებინათ, რამდენათ მართალნი იყვნენ დამფასებელნი და შეასწორეს შენობაში ის, რასაც ქალაქის სამმართველოს ტეხნიკები თხოულობდნენ, თუ არა. ეს ყველა დაივიწყეს დაჰკაი მცოდნე კაცივით მრისხანე თქმი შეადგინეს და მრისხანედვე გამოაცხადეს, რომ შენობა არ ვარგაო... რამდენათ შესაწყნარებელია ამგვარი ლაპარაკი, ამას გვიმტკიცებენ ფაქტები ბატონმა იოსებ მელიქიშვილმა აქაც მოგახსენათ, რომ მან მოგვგვარა მყიდველი ამ სახლისა, რომელიც ყიდულობდა ყოვლათ უზარალოთ ბანკისთვის, მხოლოდ თხოულობდა ორს ნასყიდობაში ერთი ნასყიდობა ეკისრა ბანკს. ბანკის მმართველობამ უარი უთხრა. უკეთუ მართლა ისეთი უვარგისია, როგორადაც აგვიწერა ეს ერთმა მმართველობის წევრთაგანმა, ნუ თუ იყო ვინმე ისეთი ოხერი, რომ ჰკვაძლია ამ მამულში ასი ათასს მანათზე მეტი, მეტი ვიდრე ბანკს ჰქონდა მასში მიცემული? უკეთუ ასეთი უხეირო იყო, როგორც აგვიწერეს ჩვენ, ნუ თუ მმართველობამ ჩაიდინა ის უგუნურობა, რომ ამგვარი დიდი ფასით არ მოიშორა ეს მამული თავიდამ? და რომ ამ მამულს კარგი ფასი აქვს, ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს ისიც, რომ დღესაც გვიკერია საქმეში შემოტანილი ქაღალდი, სადაც თხოვულობენ მივყიდოთ სრულიად უზარალოდ და რომ ფასიანი მამულია და მომგებიანია, ეს თქვენ მოისმინეთ ჩვენი მმართველობის თავმჯდომარესაგან, რომ ჩვენს ხელშიც კი ყველას ხარჯს გარეშე ას თუმანზედ მეტს მოგებას გვაძლევს.

დიახ! და აი რა მამულსა სტაცეს ხელი და ააშენეს მაზედ ზვავი.

ცუდათ ჩაგვეთვალა კიდევ ის ზოგიერთა ორატორთაგან, რომ ძველი საქმე განგებ მოსპეს, რაკი იქ ცოტა ფული ჰქონდათ გადაუწყვეტილი და ახლად დაიწყეს საქმე, რომ მეტი ფული მივიღოთო. გამოდიოდა, რომ ეს გამგეობის განგებრად არ მოხდებოდა. ვთქვათ ამათი უნდა ვინმე შეეყვანათ შეცდომაში. ვინ უნდა შეეყვანათ? აშკარაა ის, ვინც უთხრა უარი. უარიც მე ვუთხარ. მე ვუთხარ უარი და მერე მოვატყუე ჩემი თავი? განა კარგი ლოღიკა არ არის? ვუგდოთ სხვას ყური. ჩვენი ბრალმდებელნი უმტკიცებდნენ კრებას, გამგეობამ იცოდა, რომ ახლად დაწყობილი საქმე ბაბაევისა იყო ის საქმე, რომელიც უკვე სწარმოებდა და მოისპოთ. ამისი ცხადი საბუთებიც ის არისო, რომ გამგეობამ მისწერა დამფასებელს კომისიას, ხელმეორედ გასინჯეთ ბაბაევის მამული და ხელმეორედ დააფასეთო. აბა ბატონო ორატორებო, მაჩვენეთ სად არის ის ქაღალდი და ის ალაგი, სადაც გამგეობამ უბრძანა კომისიას, ხელმეორედ გასინჯეთ და ხელმეორედ დააფასეთო? აი ბატონებო ის ქაღალდი, რომლითაც გაეგზავნა ახალი საქმე კომისიას. აბა მიბრძანეთ, სად არის ეს სიტყვები, სად არის ეს ბრძანება?.. თარხნიშვილი ხომ ჯვარსა და სახარებაზე გეფიცებათ, ეგ ქაღალდი ფურცელაძის მოწერილიაო. ჯერ ერთი ხომ ჰნახეთ, ამ ქაღალდში კრინტიც არ არის იმაზე, რასაც თარხნიშვილის გვარი-ორატორები ბრძანებდნენ, ახლა ჰნახეთ ვისგანა არის ან ეს უბრალო ქაღალდი გაგზავნილი, ჩემგან თუ სხვებისაგან. აი საქმე, მაჩვენეთ, სად არის აქ ჩემი მოწერილობა? მოწერია მე აქ ქაღალდზე ხელი? წაიკითხეთ, ვის უწერია. უწერია ჭავჭავაძეს და მამაცაშვილს!..

უგდეთ უარესებს ყური. თ. თარხნიშვილი უმტკიცებდა კრებას, რომ ფურცელაძეს ოთხი თვის განმავლობაში ეჭირა ხელში საქმე, ჰსინჯავდა, დოკლადებს აკეთებდა, ყოველივე საქმის გარემოება ძველიც და ახალიც იცოდა დაწვრილებით და მაინც კიდევ მისცა სესხიო. ჯერ ერთი ესა, რატომ არ უნდა მიგვეცა? ჩვენ ვნახეთ, რომ ერთი საუკეთესო შემოსავლიანი და აწერილობითაც საუკეთესო მამული არის, ჯერობით ის მოგების მეტს ზარალს არ გვაძლევს? მაგრამ ვნახოთ აქაც, რამდენად არის მართალი თ. თარხნიშვილი. მართლა მეჭირა როდისმე ხელში ან ძველი ან ახალი საქმე, მესინჯავს, დოკლადები მიკეთებია თუ არა აი კიდევ ეს საქმეები. გვიჩვენოს თარხნიშვილმა სადა, როდის და რა გარემოებაში მიწარმოებია საქმე. დაწვრილებით ეს საქმე მე გავიცან [illegible] მაგრამ რა აღმოჩნდა. არც პირველი და არც მეორე საქმე მე არც ერთხელ არ ჩამვარდნია ხელში, მაშასადამე არც მისინჯავს, არც დოკლადები არ მიკეთებია. გასასინჯავად დოკლადებისათვის ორჯერვე სხვა დოკლადჩიკსა ჰქონდა ეს საქმე მინდობილი, და ჩემს ხელში არც ერთხელ არ გაუვლია. აი კიდევ საქმე და ნახეთ. ეს კიდევ ცოტაა. არამც თუ არსებითად და დაწვრილებით თვით გირავნობის მოწმობა, თვით სესხის მიცემის ანგარიშები მე არ მისინჯავს და საქმეში არ ჩამიხედნია. აი, ბატონო ორატორებო კიდევ საქმე და სინჯეთ იგი.

ერთად-ერთი ჩემი მონაწილეობა იყო საქმეში ისა, რომ, როდესაც დამფას. კომისიამ ძველ საქმეში მოგვწერა, ქალაქის გამგეობის ტეხნიკები თხოულობენ, შენობის ზოგიერთა ალაგების შესწორებას და მამულის პატრონები ამბობენ შევასწორეთო, საჭიროა ერთად შევამოწმოთ, შეასრულა შენობის პატრონმა ესენი თუ არაო, მე მომანდო გამგეობამ კომისიასთან და არხიტექტორთან ერთად გამესინჯა სახლი თუმცა პატრონმა ადგილობრივ გვაჩვენა შიგა და შიგ შესწორებული ალაგები, მაგრამ მე მაინცა არ ვენდე არც ჩემს თავს, არც არხიტექტორის სიტყვებს და მოვახსენე გამგეობას, საჭიროა სპეციალურად გასინჯოს ჩვენმა არხიტექტორმა ქალაქის გამგეობის სპეციალისტებთან ერთად თუ უამისოთ! სესხი არ მიეცემა მეთქი. გამგეობა დამთანხმდა. მე ჩემივე ხელით დავსწერე ამისი დადგენილება. თუ რა წყალობის თვალით ვუყურებდი მე ამ საქმეს, აი აქაც ამ ერთადერთს ჩემს საქმეში აქტიურად გარევითაც კი აღმოვუჩინე უნდობლობა, თითქმის უარის თქმა. მაგრამ ბ-ნმა თარხნიშვილმა სხვა ინება...

აი, ბატონებო, რა საშუალებით წარმოდგნენ თქვენს წინაშე, ასრე გასინჯეთ აფხაზმა მრისხანე ღენერალის კილოთიც შეგვძახა: „ВСѢХЪ ПРОГОНЮ!“.. საზარი იყო ეს შეძახილი... მაგრამ, დეე, თვითონ მისცეს სახელი თავის ამგვარ საქციელს... რაც შეეხება თარხნიშვილს... იმან თვითონვე თავისი ქცევით მისცა თავის თავს პასუხი .. და რამდენი იყვირეს, რამდენი გულის მრისხანება იჩინეს, რა ნიანგის ცრემლებს ჰღვრიდნენ... და რამდენი სიმართლე ჰქონდათ?

◆

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

8 ივლისი.

ბერლინი, 7 ივლისი. „ლოკალ-ანცაიგერი“-ს ვაშინგტონიდან აუწყებენ, რომ უკვე მოსულან იაპონიის რწმუნებულნი, ზავის შესახებ მოლაპარაკებისათვის დანიშნულნი.

ტოკიო, 7 ივლისი. ადმირალი დევა იუწყება, რომ ჯავშნოსანის „სუვოროვი“-ის ლეიტენანტი და 13 მდაბიო მეზღვაური სახალინზე გადასხდარან და იქ კი იაპონელ ტყვედ წაუყვანიათ. მათ ნაბრძანები ჰქონდათ ვლადივოსტოკს წასულიყვნენ გემით. რადგანაც სქელ-ნისლიანი ამინდა იყო, ისინი კუნძულ ურუპის მახლობლად კლდეზე გაირიყნენ. რის შემდეგაც გემი დასწვეს და მიატოვეს, 4 ივლისს 17 აფიცერი და მდაბიო მეზღვაურნი ნავით კორსაკოვსკისაკენ გაემართნენ. მას აქეთ არა არაფერი ისმის. დატყვევებული ლეიტენანტი 22 ივნისს კორსაკოვსკიდან გაემართა უგზოდ დაკარგულ მეზღვაურთა მოსაძებნად, მაგრამ იაპონელთ ჩაუვარდა ხელში. ორი სხვა აფიცერი და 13 მდაბიო მეზღვაური იმ ადგილასვე დარჩნენ, სადაც გემი დაიღუპა. სურსათ-სანოვაგე თვე-ნახევრის საკმაო აქეთ.

გოძიადანი. ლაშქრის ყველა ნაწილებში მუდმივი ვარჯიშობა და ალლუმია, ვარჯიშობენ ყველაფერში, რაც ამ ომის პრაქტიკიდან გამოიტანეს.

სიპინგაი. წვიმებმა ძლიერ იკლო. თამამად შეიძლება სამხედრო მოქმედებათა განახლება. საზოგადოდ პოზიციებზე სიწყნარეა, მხოლოდ სიჩუმე ირღვევა მარცხენა ფრთებზე. კაზაკებმა განაახლეს თარეში. მოულოდნელად თავს ესხმიან იაპონელთა საყარაულოებს. იაპონელთა შორის ხოლერაა. ჩვენის ჯარის სანიტარული მხარე კი საუცხოოა. წარმოიდგინეთ, საეჭვო ავადმყოფობანიც კი არ ყოფილა.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთიდან 7 ივლისს ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ტფილისი ზემო ქართლის მემამულენი არტელს (ამხანაგობას) აარსებენ. წესდებით ის შესდგება გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან და წევრებად მიიღებიან ყველანი, განურჩევლად წოდებისა. დანიშნულება ამხანაგობისა—მიაჩვიოს წევრები დამოუკიდებელ შრომას, ფიზიკურ მუშაობას და საჭირო ცოდნის შეძენას იმდენად, რომ ყოველ მათგანს შეეძლოს უმოსამსახუროდ და მიწის შემუშავება თვის ოჯახის დახმარებით.

პარიზი რუვიემ დღეს ინახულა გრაფი რადოლინი. ბრიტანიის ესკადრა საფრანგეთის ზღვას რომ მოშორდა, ინგლისის მეფემ რუვიეს დეპეშა გაუგზავნა და მადლობა გადაუხადა მასპინძლობისათვის. რუვიემ დეპეშითვე უპასუხა, საფრანგეთი ბედნიერია, რომ ბრიტანიის მეზღვაურებს ასიამოვნა და განუცხადა, რამდენად აფასებს იგი საფრანგეთისა და ინგლისის შორის დამყარებულ თანაგრძნობას.

ლონდონი, 7 ივლისი. საზოგადოებათა პალატაში მთავრობა დამარცხდა ირლანდიელ დეპუტატის ჯონ რედმონდის მიერ წარდგენილ წინადადების კენჭის ყრის დროს. ჯონ რედმონდმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ შემცირებინათ ხარჯი ირლანდიის სამოწყალ-მეთვალყურე კანონების აღსრულების დროს. ეს წინადადება მიიწყნარა ქვემო პალატამ 119 ხმით, წინააღმდეგ 106-ისა. ბენერმანი შეეკითხა ბალფურს, რას აპირებს მთავრობა. ბალფურმა უპასუხა, გადაწყვეტილ ორშაბათს გეტყვით, ამხანაგებთან თათბირის შემდეგ. აღნიშნავენ რა მთავრობის ამნაირს დამარცხებას, სამინისტროს მომხრე პრესსა ამბობს: ხმის უმეტესობა უმნიშვნელო იყო და მთავ[illegible] დეპუტატთა უმრავლესობა პალატის სხდომას არ დაესწრო. ამიტომ მთავრობის მომხრე პრესსა დარწმუნებულია, რომ მთავრობა წინადადებას შეიტანს ამ გარდაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან დანიშნა ვაჭრობა ამა წლის 15 ივნისს იჯარით გასაცემად ქალაქის მიწის სამის ნაჭრისა, მე-10 საპოლიციო ნაწილში, ტფილისის დამოქნასთან: პირველი 189,17, მეორე 245,5 და მესამე 251,25 ოთხკ. საჟ. ამ ადგილებზე იჯარადარს შეუძლიან საწყობები გამართოს შეშისა, შენობის მასალისა და სურსათისა. პირობების გაგება შეიძლება ყოველ საქმის დღეს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისათვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—13)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. . . . 20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“. **სოხიკო მერკვილაძე.** (10—10)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 іюля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 6.